საქართ. კომპარტ. ცენტ.-კომ. და ამიერკ. სახ. ბაზის

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 1,000,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 40,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 200,000 მან.
4 „ 150,000
სამგლოვიარო
1 გვ. 2,500,000 მან.
4 „ 2,000,000 „

№ 485 — შაბათი, ივნისის 2 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 40,000

საქართველოს წარმოებითი პროფკავშირების საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, 15 ივნისისთვის მოწვეულია

## სრულიად საქართველოს პროფკავშირების მე-3 ყრილობა

### ყრილობის წესრიგი:

1. საერთაშორისო მდგომარეობა.
2. საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს და სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3. ამიერ-კავკასიის შრომის კომისარიატის საქართველოში მყოფ რწმუნებულის მოღვაწეობის ანგარიში და მისი უახლოესი მიზნები შრომის დარგში.
4. საორგანიზაციო საკითხები.
5. სატარიფო საკითხი.
6. კულტურის საკითხი.
7. მრეწველობის მდგომარეობა და მისი პერსპექტივები.
8. მუშათა კოოპერაციის მდგომარეობა და მისი პერსპექტივები.
9. არჩევნები საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმისა და სარევიზიო კომისიისა.

ყრილობის დელეგატებს წინადადება ეძლევათ თან წამოიღონ ადგილობრივი მუშაობის მდგომარეობის სისწორით დამსურათებელი მასალები. 1—1

## ჩემი შენ გითხარი...

დასავლეთ ევროპის პროლეტარულ წრეებში თანდათან ფეხს იკიდებს და პოპულიარული ხდება საბჭოთა მთავრობასთან ძმური კავშირის, მეგობრული ურთიერთობის საჭიროება. თითქმის ხუთი წელია, რაც სხვადასხვა ჯურისა და რანგის რეფორმისტ-ოპორტიუნისტები, მუშათა კლასის ფარისევლები ევროპის მშრომელ მასსას „ველურ“ საბჭოთა ფედერაციის წინააღმდეგ მოუწოდებდნენ. ბურჟუაზია ხარჯავდა აუარებელ ფულს შეუგნებელ მუშების თავის მხარეზე გადმოსაყვანად და მათი საშუალებით კლასიურ ინტერესების გასანაღდებლად. ამავე დროს მენშევიკური ინტერნაციონალები და ყვითელი პროფინტერნიც მუშათა კლასს იმ ლოზუნგებით კვებავდა, რომლებიც კაპიტალისტების საბრძოლველ საგანს წარმოადგენდა. ძირს საბჭოთა ფედერაციის მთავრობა, გაუმარჯოს ბურჟუაზიულ კოალიციას რუსეთში—აი რა ეწერა „სოციალისტურ“ მიმდინარეობათა დროშაზე დასავლეთის კონტინენტზე.

ისტორიის სამართლის ლოღიკამ თავისი გაიტანა. დღეს „რევოლიუციონერები“ თითქმის არ გამოდიან მუშათა ფენების წინაშე ძველი აზრებით, ძველი არგუმენტებით და უსაფუძვლო მოტივებით. რუსეთს ებრძოდნენ იმიტომ, რომ მისი პოლიტიკური ცხოვრების მესაჭეებად კომუნისტები არიან. კომუნისტებს სიველურისა და სიმხეცის წარმომადგენლებად ასაღებდნენ რეფორმისტული სოციალისტები ევროპის მშრომელთა მასსებში. მაგრამ ბურჟუაზიის იმპერიალისტურ აღვირახსნილობამ, იმ ამბებმა, რომლებიც ხდება რურის ოლქში და ევროპის სხვა ნაწილებში, აგრეთვე საერთაშორისო რეაქციის გაფართოებამ, ინგლისის უნიადაგო მახინაციებმა და თავდასხმამ საბჭოთა რუსეთზე,—ერთის მხრით, და მეორე მხრით—საბჭოთა ფედერაციის მუშებისა და გლეხების თავგანწირულ ბრძოლამ შინაურ და უცხოეთის ბურჟუაზიულ კლასების წინააღმდეგ—ცხადი და აშკარა გახდა ევროპის პროლეტარიატისათვის საქმის მთელი შინაარსი. თვით მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენლებიც იძულებული არიან იოქროპირონ საბჭოთა რუსეთის იმპერიალიზმთან ბრძოლის დიდ ღირებულებაზე. ამას წინედ მოსკოვის პრესაში გამოქვეყნებული იყო მე-2 ინტერნაციონალის მდივნის მიმართვა ერთ-ერთ პროფ-ორგანიზაციისადმი, რომელშიაც ანუსხულია საბჭოთა ფედერაციის ცნობა, როგორც იმპერიალიზმთან მებრძოლი რეალი ძალის.

რუსეთის მენშევიზმი ყველაზედ მკაცრად ილაშქრებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მენშევიზმი ვერ ურიგდება სოციალისტური რევოლიუციის ბუნებას. მართალია, რუსეთის მენშევიკური პარტიის რღვევის პროცესი თითქმის ლოღიკურ დასკვნამდე დავიდა. მუშათა წრეები არ განიცდის მენშევიზმის გავლენას. მენშევიზმის იდეოლოგიური გახრწნა-დანაწილებამაც განვითარების საგულისხმო საფეხურს მიაღწია. მარტინოვ-როჟკოვის „ტრაგედია“ ასურათხატებს მენშევიზმის იდეურ და პრაქტიკულ კრიზისის ვითარებას. მაგრამ, სამწუხაროდ, ევროპაში დღესაც დათარეშობენ ყალბი მანდატით აღჭურვილი „გულწრფელი“ მენშევიკები, რომლებიც სალამურს ძველს ჰანგებზე უკრავენ.

ჰამბურგის კონგრესზე დაისვა საკითხი საბჭოთა ფედერაციის შესახებ. მენშევიკმა აბრამოვიჩმა ღვარძლით აღსავსე სიტყვით ენერგიულად გაილაშქრა კომუნისტური მთავრობის წინააღმდეგ. ბ-ნ აბრამოვიჩი მეტად ორიგინალი „საბუთი“ თავის მოსაზრების დასამტკიცებლად. კომუნისტებს ჩვენ უნდა ვებრძოლოთ, რადგან ისინი სოციალისტები არ არიანო! თავხედობა და პარტიული იეზუიტიზმი, კიდევ მეტი-პოლიტიკური დალტონიზმი ამაზე შორს ველარ წავა. საკვირველია, მენშევიკები, რომლებიც ისტორიამ პოლიტიკური ძალა-უფლების ნატეხი გადუგდო, სამარცხვინო მოღვაწეობის შემდეგ კიდევ ბედავენ და შესწევთ ძალა მისით ილაპარაკონ ბოლშევიკების ანტისოციალისტობაზე! მენშევიზმი რუსეთის რევოლიუციას აძლევდა ბურჟუაზიულ შინაარს. მენშევიკები რევოლიუციის ბუნებას ანტიპროლეტარულ საზომით იკვლევდნენ. იმთავითვე აღებულ ყალბმა და ანტისოციალისტურ პოზიციამ ბოლო მოუღო მენშევიზმს და დაამსხვრია თვით მენშევიკური აზროვნებით შენობა მუშათა რიგებშიც. ოქტომბრის რევოლიუციამ გაიმარჯვა იმიტომ, რომ იგი რევოლიუცია იყო პროლეტარული და სოციალისტური ხასიათის. კომუნისტებმა ძალა-უფლება სოციალისტობით შეინარჩუნეს. ბ-ნ აბრამოვიჩები კი ამტკიცებენ: ბოლშევიკები არ არიან სოციალისტებიო. თუ ეს ასეა, მაშ რათ ებრძვის მსოფლიო ბურჟუაზია საბჭოთა რუსეთს? რა თქმა უნდა, უმთავრესად იმიტომ, რომ საბჭოთა სისტემის შინა-ბუნება, საბჭოთა ფედერაციის ეკონომიური მშენებლობის ძირითადი ხაზი, მშრომელთაკლასის დიქტატურა დიამეტრალურად ეწინააღმდეგება მსოფლიოს დანარჩენ $^{5}/_{6}$ ნაწილის სოციალ-პოლიტიკური წესწყობილების ფორმასა და შინაარსს.

მთელი ქვეყნის პროლეტარიატი ხედავს საბჭოთა რუსეთის მუშებისა და გლეხების გმირულ ბრძოლას სოციალისტურ და რევოლიუციონურ ფრონტზე. დრომოჭმული მენშევიზმი ვერ შესძლებს მდ გომარეობის რეალ სახეების გაყალბებასა და ანულიაციას.

მენშევიკები სოციალიზმზე ლაპარაკობენ! ისინი ბრალს გვდებენ ანტისოციალისტობაში! ოლონდაც!

—„ჩემი შენ გითხარი გული მოგიკალიო“-ამბობს ქართული ანდაზა.

## პრესა

ჩვენი გაზეთის 483 №-ში მოყვანილი გვქონდა გაზ. „მიწის მუშის“ წერილი გლეხთა სახლების შესახებ და გამოვსთქვამდით ჩვენს აზრს ამ საკითხზე. გაზ. „კომუნისტიც (№ 123) ეხება „გლეხთა სახლების“ დაარსების საჭიროებას და ასაბუთებს იმავე მოსაზრებით. მოგვყავს წერილი შემოკლებით:

„ვერც ერთი მოძრაობა ვერ გაიმარჯვებს, თუ ის ქალაქის საზღვრებს არ გასცილდა, თუ მან ფართო გამოძახილი არ იპოვა სოფლის მრავალმილიონიან მცხოვრებლებში.

საბჭოთა ფედერაციაში სოფლის მცხოვრებლები დაახლოვებით მცხოვრებთა რაოდენობის ოთხ-მეხუთედს შეადგენენ და ცხადია, რომ საბოლოო გადამწყვეტი სიტყვა ამა თუ იმ საკითხში სოფელს ეკუთვნის. ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვება უზრუნველყო მრავალმილიონიან გლეხობის ქალაქის პროლეტარიატთან შეთანხმებულმა გამოსვლამ და სანამ მტკიცე იქნება კავშირი მუშათა დ გლეხთა მასების, არავითარი ძალა საშიში არ არის საბჭოთა ხელისუფლებისთვის. კავშირის საბოლოო გამაგრებისთვის კი საჭიროა მტკიცე ურთიერთობის დამყარება ქალაქისა და სოფლის მშრომელ მასსებს შორის. ეკონომიური ინტერესების შეთანხმებასთან ერთად საჭიროა რომ სოფელი იდეურათაც არ მოსწყდეს ქალაქს, სოფლის და ქალაქის გული ერთნაირად სცემდეს, რომ ქალაქისთვის სოფლის ტკივილები გასაგები იყოს. ქალაქი, რომელიც ცენტრია ქვეყნის მართვა-გამგეობის და ეკონომიური ცხოვრებისა, ერთი წუთითაც არ უნდა ივიწყებდეს სოფელს. ფაქტიურათ კი მანძილით დაშორების გამო, სოფლის მრავალი საჭიროებანი ხშირად დაუკმაყოფილებელი რჩება, სოფლის მდგომარეობას ცენტრი თავის დროზე რიგიანათ გაცნობილი არ არის. ამის გამო სოფელი დიდ გაჭირვებას განიცდის.

ამ მდგომარეობიდან გამოსავალი უნდა იყოს მონახული, გლეხობა უნდა გრძნობდეს ცენტრის მზრუნველობას, მისთვის ღია უნდა იყოს საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების და დაწესებულებების კარები. პერიფერია ცენტრს არ უნდა ჩამოსცილდეს. ამ მიზნით სხვა ზომებთან ერთად რუსეთის დიდ ქალაქებში არსებობენ „გლეხის სახლები“, რომლებიც დიდ დახმარებას უწევენ გლეხობას და ყოველ მხრივ მზრუნველობას იჩენენ მასზე ჩვენშიც დაისვა ეს საკითხი, მაგრამ სამწუხაროთ დღემდე არ მოგვარებულა, ამ დღეებში ჩვენი ცნობით საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს თავს უდვია ამ სახლის მოწყობის ინიციატივა; მას უკვე მიუმართავს ქალაქის აღმასკომისთვის, რათა ამ უკანასკნელს დაეთმო გლეხთა სახლისთვის შენობა რუსთაველის პროსპექტზე. ეს საქმე იმდენათ საყურადღებოა, მიზანი იმდენათ სიმპატიური და თანადროულია, რომ მას აუცილებლად ყველამ ხელი უნდა შეუწყოს.

## ტელეგრამები

### რურის ამბები.

#### გერმანიის კომპარტიის მოწოდება.

**ბერლინი.** 29 მაისი. გერმანიის კომპარტიის ცეკამ და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების ცენტრალურმა საბჭომ გამოაქვეყნეს მოწოდება, რომელშიაც აღნიშნავენ, რომ რურის სამთო-მადნო მრეწველობის მუშათა მღელვარება გამოწვეულია მხოლოდ სამუშაო ხელფასის მომატებისათვის ბრძოლით.

მოწოდებაში ხაზგასმით არის ნათქვამი. რომ რურში კომუნისტურ აჯანყებებზე ლაპარაკიც არ შეიძლება.

მოწოდება აღნიშნავს აგრეთვე, რომ გერმანიის მთავრობა ამზადებს კაპიტულიაციას საფრანგეთის მიმართ და მიტომ ცდილობს რურში სისხლის მღვრელ შეტაკებების გამოწვევას, რათა დაასაბუთოს კაპიტულიაცია ორ ფრონტზე ბრძოლის შეუძლებლობით მოწოდებაში გამოთქმულია მუშური მთავრობის მოწყობის აუცილებლობა, რომელიც ან უზრუნველყობს მშვიდობიანობას მსხვერპლის ფასით, ან გაუწევს ნამდვილ წინაღმდეგობას საფრანგეთის იმპერიალიზმს.

**ბერლინი.** 29 მაისი. გაფიცვა რურში გადავიდა აგრეთვე ესსენის ოლქშიც. რურში გაფიცულ მუშათა რიცხვი უდრის 875.000 კაცს.

**ბერლინი** 29 მაისი ბერლინში დაიწყო მოლაპარაკება პროფკავშირებსა და რურის სამთო-მრეწველებს შორის შრომის ხელფასის 50 პროცენტით გადიდების შესახებ. მრეწველებმა უარყვეს მუშების მოთხოვნილებები.

**ბერლინი.** 26 მაისი. ბელგიის პარლამენტში სოციალ-დემოკრატებმა ბურჟუაზიულ პარტიებთან ერთად მოითხოვეს ენერგიული ზომების მიღება გერმანიის ოკუპაცია ქმნილ ნაწილში ბელგიის ჯარზე თავდასხმის დამნაშავეთა წინააღმდეგ

### რურის ოლქის ოკუპაცია

#### ცეცხლითა და მახვილით

**ბერლინი.** 31 მაისი. რურის ოლქის მუშების გაფიცვა მცირდება. გაფიცულებმა მიაღწიეს სამუშაო ხელფასის მომატებას სურსათზე ფასების მომატებასთან დაკავშირებით. რურის ოლქის ზოგიერთ ადგილებში ხდება მასიური დაპატიმრებანი. მუშებს ასობით აპატიმრებენ.

**ბერლინი.** 31 მაისი. დეპუტატთა პალატამ 560 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 67-სა ნდობა გამოუცხადა პუანკარეს. ნდობის გამოცხადების გარშემო გამართულ კამათის დროს, პუანკარესა და კაბინეტის წინააღმდეგ ილაშქრებდენ რურის ოკუპაციიდან ეკონომიური შედეგების მიუღებლობისა და მაინცში სამხედრო გემების მოქმედების გამო.

**ლონდონი,** 29 მაისი. „დეილი ჰერალდში“ მოთავსებულია მუშების რეზოლიუციების მთელი რიგი, რომლებიც მოითხოვენ რუსეთის ნოტის მიღებას და საბჭოთა მთავრობის სრულ ცნობას.

**ლონდონი,** 29 მაისი. გაზეთების ცნობით მუშათა პარტია მოითხოვს რუსეთსა და ინგლისს შორის სადაო საკითხების გასარჩევად კონფერენციის მოწვევას. მუშათა პარტიის აზრით ამ კონფერენციაზე გარდა ინგლისის მთავრობის მიერ აღძრულ საკითხებისა, უნდა გაირჩეს აგრეთვე საბჭოთა მთავრობის კონტრ პრეტენზიები, კერძოდ კი ინტერვენციით დაზარალებულ რუს მოქალაქეთათვის ზარალის ანაზღაურების საკითხი.

**ლონდონი,** 29 მაისი. ბრიტანეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მანიფესტით მიმართა მუშებს. მანიფესტი მოუწოდებს მუშებს მოაწყონ საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტები და გაგზავნონ დელეგატები ადგილობრივ „მოქმედების საბჭოებში“, რომელშიც უნდა შევიდენ აგრეთვე ტრედუნიონების წარმომადგენლებიც.

#### ინგლისის ახალი მთავრობა.

**ლონდონი,** 29 მაისი. ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრად დაინიშნა ყოფ. სამხედრო მინისტრი ლოიდ-ჯორჯის კაბინეტში ვორტინგ-ტონ-ევანსი. ამ თანამდებობის მიღების დროს მან განაცხადა: „ვეცდები მივიღო ყოველგვარი ზომები პარტიის მთლიანობის დასაცავად.

**ლონდონი,** 28 მაისი. გადმოგვცემენ, რომ ბალდვინმა ჩემბერლენს მისცა ინგლისის ელჩის თანამდებობა ვაშინგტონში, რაზედაც უკანასკნელმა უარი სთქვა. ჩემბერლენმა გამოაქვეყნა წერილი თავის ამომრჩევლების მიმართ, რომელშიაც აღნიშნავს, რომ ის პარიზიდან ჩამოვიდა ლონდონში, ფიქრობდა რა, რომ ბალდვინი ბოლოს მოუღებდა უთანხმოებას კონსერვატიული პარტიის ფრაქციებს შორის, მაგრამ ეს არ მოხდა დი პრემიერმა მიმართა ჩემბერლენს მხოლოდ სამინისტროს შედგენის შემდეგ. ფიქრობენ, რომ ეს წერილი კიდევ უფრო გააორმაგებს უფსკრულს კონსერვატიული პარტიის რიგებში.

#### ინგლისის მუშების მოთხოვნილება.

**ლონდონი,** 28 მაისი. მაღაროს მუშათა დელეგატების კონფერენცია 30 მაისს განიხილავს ხელფასის თანდათან შემცირების შეჩერების საკითხს. ამ წინადადებას მიემხრო კავშირები სამხრეთ უელსისა, დერკემისა და შოტლანდიისა. გუშინ წარმოთქმულ სიტყვაში ხოდსონი ურჩევდა მუშებს ხელი აელოთ საკითხის ასეთ დაყენებაზე, რადგანაც ხელფასის შესახებ შეკანზმების დარღვევა გაფიცვას უდრისო. ხოდსონი დაბეჯითებით მოითხოვდა, რომ მაღაროს მუშებმა ისარგებლონ საპარლამენტო მეტოდით და გადამწყვეტი ნაბიჯი მხოლოდ შესაფერ მომენტებში გადასდგან, თავისი ბელადების რჩევის მიხედვით. ძალიან საეჭვოა, გაიზიარებენ თუ არა მაღაროს მუშები ხოდსონის მოსაზრებას, რადგანაც საპარლამენტო მეთოდები მხოლოდ ხელფასის შემცირებამდე მიიყვანეს, მაშინ როდესაც ცხოვრება გაძვირდა. ნამდვილად კი საკითხი ისაა, თუ როდის და ვინ გადასწყვეტს შეტევაზე გადასვლის მომენტის მოახლოვებას.

#### ახლო აღმოსავლეთში.

**ლონდონი,** 31 მაისი. დღეს ანგორის მთავრობამ ინსტრუქციები გადასცა ისმეტ-ფაშას ლოზანაში ამერიკისა და ოსმალეთის იმ მოლაპარაკების შესახებ, რომელიც ჩესტერის კონცესიებს ეხება. ისმეტ-ფაშას მინდობილი აქვს ჩესტერის კონცესიების საკითხი განიხილოს ამერიკის ახალ წარმომადგენელთან, რომელიც სპეციალურად ამ მოლაპარაკებისათვის მოდის.

ანგორის მთავრობა უკმაყოფილოა მოლაპარაკების მსვლელობით და აღნიშნავს, რომ წამოყენებული პირობები ამერიკისათვის უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ოსმალეთისათვის. პრესის ცნობით შეერთებულ შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა თავს იდო მოლაპარაკების წარმოების ინიციატივა. მაგრამ, სენატორმა გრიუმ უარყო ეს და განაცხადა, რომ სანამ მოკავშირეები ოსმალეთთან არ დას-

დებენ საზავო ხელშეკრულებას, ამ მოლაპარაკების წარმოება შეუძლებელიაო. გრიუმ განაცხადა: „თუ თქვენ ზავს შეკრავთ საბერძნეთთან, მე მზათ ვიქნები ვაწარმოვო მოლაპარაკებაო.

თუმცა შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი უარყოფს იმ ცნობებს, თითქოს მოლაპარაკება უკვე დაწყებულიყოს, მაგრამ ოსმალეთისა და ამერიკის დელეგაციებმა ლოზანაში ერთი მეორის საწინაალმდეგო ცნობები გამოაქვეყნეს ამ საქმის შესახებ.

**ბოროდო,** 29 მაისი. მოკავშირეთა დელეგატების თათბირზე ისმეტ-ფაშას თანდასწრებით გამომუშავებული იქნა ოსმალეთისათვის დათმობილი ტერიტორიის სწორი საზღვრები. ორივე დაინტერესებული მხარე შეთანხმდა ამ საკითხში.

### რუსეთი და ინგლისი.

**ბერლინი** 31 მაისი. კრასინთან შეხვედრის შემდეგ, კერზონმა კმაყოფილება გამოსთქვა რუსეთის ნოტის გამო.

**ბერლინი** 31 მაისი. ურხარდტის აზრით, რუსეთის ფასიან ქაღალდების ინგლისელი მეპატრონენი წინაალმდეგი იქნებიან ყოველგვარი შეთანხმების, რომელიც მათთვის არა სასურველ მუხლებს შეიცავს რუსეთის ვალების შესახებ.

**ლონდონი** 27 მაისი. გადმოგვცემს რა, რომ კერზონი დაჟინებით მოითხოვს აღმოსავლეთში მყოფ საბჭოთა წარმომადგენლების გაწვევას, რომელთაც ის ბრალს სდებს პროპაგანდაში, „დეილი გერალდი“ აღნიშნავს, რომ ამ მოთხოვნილების შესრულება გამოუძიებლად არ შეუძლია არც ერთ მთავრობას.

თუ კერზონი შესძლებს და დაარწმუნებს კოლეგებს, მდგომარეობა ძლიერ გამწვავდება.

**პარიზი** 28 მაისი. საფრანგეთის ფინანსიური და პოლიტიკური წრეები რყევაში არიან იმის გამო, თუ როგორი პოზიცია დაიჭირონ რუსეთის მიმართ. „ტანი“ თხოულობს, რომ საფრანგეთმა მონაწილეობა მიიღოს ინგლის-რუსეთის მოლაპარაკებაში, რომლის მიზანია ინგლისის მონაწილეობის მიღება რუსეთის ეკონომიურად აღორძინების საქმეში.

**ლონდონი** 30 მაისი. ინგლისის გაზეთები აღნიშნავენ, რომ ინგლისის პასუხში იქნება აღნიშნული **საბჭოთა ნოტის შემარიგებელი კილო** და არ იქნება ისეთი რამე, რომელიც შეუძლებელს გახდის მომავალი მოლაპარაკების გამართვას.

ფიქრობენ, რომ ბრიტანეთის მთავრობა საკითხს თევზის ჭერის შესახებ, ალბად მოხსნის, თუმცაღა საბჭოთა მთავრობის დაპირება სამმილიანი ზონის დაცვის შესახებ დამაკმაყოფილებელია. ამის გამო კონფერენციას რუსეთსა და ინგლის შორის არ ექნებოდა დიდი მნიშვნელობა, ამ საკითხის ფართო საერთაშორისო მნიშვნელობის გამო.

**ბრიტანეთის მთავრობა აგრეთვე უარს იტყვის საერთო კონფერენციაზე აღმოსავლეთში პროპაგანდის საკითხის შესახებ,** რადგანაც მას არ სურს ჩაბმა დისკუსიაში, რომელიც შესაძლებელია გაშორდეს ამ საკითხის საზღვრებს.

**ლონდონი.** 29 მაისი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ბრიტანეთის მთავრობის ოფიციალური აზრი რუსეთის პასუხის შესახებ ასეთია: საბჭოთა რუსეთის პასუხი დიდი ნაბიჯია წინ და საერთოდ დამაკმაყოფილებელია გარდა იმ ნაწილისა, რომელიც შეეხება პროპაგანდას. საბჭოთა მთავრობის პოზიცია ამ საკითხში ინგლისის მთავრობას არ მიაჩნია დამაკმაყოფილებლად.

**ლონდონი.** 29 მაისი. საბჭოთა მთავრობის პასუხის შემდეგ იმის შესახებ, რომ ის თანახმა არის დააკმაყოფილოს დევისონ გარდინგის პრეტენზიები, „ტაიმსში“ გამოქვეყნდა „სამშობლოში დაბრუნებულ ბრიტანელ მოქალაქეთა დამხმარე კომიტეტის“ თავმჯდომარის წერილი, რომელშიც ნათქვამია: კომიტეტს იმედი აქვს, რომ საბჭოთა მთავრობა სამართლიანად ჩათვლის დააკმაყოფილოს სხვა დაინტერესებულ პირების პრეტენზიები. ასეთ პირების რიცხვი, გაზეთის ცნობით, 2000-დი აღწევს.

**ლონდონი.** 29 მაისი. ბრიტანელ მევალეების სახელით ურკარტმა ყველა გაზეთებს დაუგზავნა წერილი, რომელშიც ის აცხადებს. რომ რუსეთთან ყოველგვარი მოლაპარაკების წინასწარ პირობას უნდა შეადგენდეს საბჭოთა მთავრობის ფორმალური დეკლარაცია თავისი ვალების ცნობის და ყოფილ მესაკუთრეთაგან ჩამორთმეული ბინების ანაზღაურებაზე თანხმობის შესახებ. ამ რიგად ნათელი ხდება, რომ საბჭოთა მთავრობის დათმობით წაქეზებული კერძო პირები, არაფერს ზოგავენ მდგომარეობის გამოსაყენებლად. „მანჩესტერ გარდიანი“ ფიქრობს, რომ ასეთი პრეტენზიების საკითხი უნდა გაირჩეს დაინტერესებულ მხარეების მოლაპარაკებით.

### რუსეთი.

#### საქონლის გაიაფება.

**მოსკოვი.** 30 მაისი. საქარხნო ნაწარმოებთა გასაიაფებლად შრომისა და თავდაცვის განყოფილებასთან ამხ. სვიდერსკის თავმჯდომარეობით დაარსდა კომისია წარმოებაში ზედმეტი ხარჯების ასაცილებლად. კომისია მუშაობამ იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ნედლი მასალის დამზადება ქარხნებს გაცილებით ნაკლებ უჯდებათ, ვიდრე ომის წინანდელ დროს, მაგრამ საბოლოო ანგარიშით კი ეს ფასები დიდათ აჭარბებს იმის წინანდელ ფასებს. ამისათვის განზრახულია გამარტივდეს ნედლი მასალის დამმზადებელი აპარატი და აგრეთვე შემცირდეს ხარჯები სოციალურ დაზღვევისა, შეფობისა და კულტურა-განათლებაზე გაღებული პროცენტიული გადარიცხვანი. მაგალითად დაუქმებულ წარმოებისათვის თანხის გადადება უნდა შედიო სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვაში. ...კულია... ზედმიწევნით გამოსაკვლევ... ფორმები უწყებულ წარმოების... აუცილებლად საჭირო ... სა და მუშა ხელისა.

## ახალი ამბები

— რედაქციამ მიიღო განათლების მუშაკთა სახლის მიერ გამოცემული წიგნი „Земелный рисунок“.

— მივიღეთ აგრეთვე: ა. კ. შრომის სახ. კომ-ს საქართვ. რწმუნებულის სამმართველოს მოქმედება 1922 წელს, ოფიციალური გამოცემა.

— რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად ნინო ყიფიანის სახლი მდებარე სოფ. ქვიშხეთში გადაეცა სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარ კომიტეტს. ხელოვანთა მთავარ კომიტეტმა ხსენებული სახლი უკვე ჩაიბარა.

— **შრომის ბირჟაში.** 31 მაისს გამოცხადდა 239 უმუშევარი: მამაკაცი 183, ქალი 56. ახალი უმუშევარი—114: მამაკაცი 78, ქალი 36. მოთხოვნილება 89: მამაკაცზე 32, ქალზე—9. აღდგენილია უფლებაში 23: მამაკაცი 17, ქალი 6.

— **რაჭველების შუამდგომლობა.** რაჭის მაზრის აღმასკომმა აღძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა მან გაიღოს თანხა ნაქერალის სამგზავრო გზის გასაყვანათ. მთავრობამ დააკმაყოფილა რაჭველების შუამდგომლობა და გაიღო ამ მიზნისთვის 10 მილიარდი მანეთი ამიერ-კავკასიის ბონებით.

— **ახალი საზოგადოება.** მთავრობამ დაამტკიცა საქართველოს სახელმწიფო სააქციონერო საზოგადოების წესდება.

— **გურულების შუამდგომლობა.** მთავრობამ დააკმაყოფილა და გადასცა სახელმწიფო სამეურნეო კომისარიატთან არსებულ კომისიას განსახილველად. გურულების შუამდგომლობა, სადაც თხოვენ შემოქმედის და უჩხობის წყლის ნაპირების გასამაგრებლათ საჭირო თანხის გაღებას.

— **ახალი სამკითხველო.** მთავრობამ დაამტკიცა ახალი პროექტი სახელმწიფო და საზოგადო სამკითხველოს დაარსების შესახებ. პროექტის ფაქტიურ მხარის დამუშავება მიენდო სახალხო განათლების კომისარიატს.

— **შეშლილთა საავადმყოფო.** ჯანმრთელობის კომისარიატმა ამოირჩია შერეული კომისია, სადაც მოყვნენ: ამხ. ტალახაძე, აღნიშნულ კომისარიატის წარმომადგენელი და ერთი მუშათა ... გლეხთა ინსპექციიდან, რომელსაც დაევალა შეშლილთა საავადმყოფოს გადატანა სურამიდან ს... ადგილას.

— **პენსიები.** მთავრობამ დაადგინა ბანდიტებთან ბრძოლაში დალუპულ გმირების ოჯახები უზრუნველყონ სახელმწიფო ხარჯზე.

— **მუდმივი პენსია.** მთავრობა გურიაში ბანდიტებთან ბრძოლაში დალუპულ ამხ. სანიკიძის ქვრივს დაუნიშნა ყოველთვიურად 15 მანეთი ოქროთი.

— **სანიტარულ სამეულის საყურადღებოდ.** ქალ. ტფილისში ბოლო ხანს გახშირდა კუჭის ავადმყოფობა, რაც გამოწვეულია ექიმების სიტყვით ადუღელარ წყლის და უმწიფარი ხილის ჭამით. მიუხედავად სანიტარულ სამეულის ბრძანებით უდუღარ წყლის აღკრძალვისა, საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებებში არ ასრულებენ ამ ბრძანებას. აგრეთვე კერძო მოვაჭრენი მრავლად ყიდიან მკვახე ხილს, დაძველებულ და დამპალ ყველ... და სხვ.

— **ექიმების საყურადღებოდ.** დამხლვევი კასსა ამით აცხადებს, რომ ყველა ის ექიმი, რომელსაც აქვს ფართო პრაქტიკა და შემოტანილი აქვთ განცხადებები დამხლვევ კასის უმუშევართა სიაში ჩარიცხვის გამო, შეუძლიათ განცხადებები უკან დაიბრუნონ, ვინაიდან მათი განცხადებანი განხილულ არ იქნება.

— **ახალი წიგნი.** იბეჭდება და ერთ კვირაში გამოვა ალ. წერეთლის შრომა: **„ევროპის პირველი ცივილიზაცია. „კრეტის-მიკენის ანუ ეგეოსის კულტურა“.**

— **ბირჟა.** ოფიციალური კურსი 1 ივნისის— საბჭოთა ნიშნები—19 და ერთი მეოთ.; ჩერვონეცი 11.300.000; გირვანქა სტერლინგი ეფექტივი—

## მარქს-ენგელსის პოლიტიკა ეროვნულ საკითხში

(საპასუხოდ)

### 1 წინასწარი შენიშვნები

გაზ. „ტრიბუნი“-ს № 470 ჩემ მიერ მოთავსებული იყო შენიშვნების სახით წერილი: „მარქს-ენგელსი ნაციონალური საკითხის შესახებ“, რომელშიაც სხვათა შორის ვწერდი: „მარქსსა და ენგელსს მეტად ცოტა აქვთ ეროვნულ საკითხის შესახებ ნაწერი, როგორც კერძო წერილებში, ისე თხზულებებში, **მაგრამ რაც არის ძვირფასს მასალას წარმოადგენს ეროვნული საკითხის სწორედ დაყენებისათვის**“... შემდეგ ავღნიშნავდი, რომ „ამ წერილში ჩვენ შევეხებით **მხოლოდ გაკვრით** მარქს-ენგელსის პოლიტიკას ეროვნულ საკითხში“ და მომყავდა ამავე ავტორების დამოკიდებულება კონკრეტიულ მოვლენების, ირლანდიის, პოლონეთისა და ელზას-ლორენის საკითხებისადმი, და ვასკვნიდი: **„ეს არის ნიმუში სადი და სწორი ხაზისა ეროვნულ საკითხში“** (კურსივია ახალია ს. დ.)

ამ წერილს მეტად საომარ გუნებაზე დაუყენებია ამხ. ს. ამაღლობელი და იმავე გაზეთის ფურცლებზე (იხ. №№ 474 და 476) მოათავსა წერილი ჩემი შენიშვნების საპასუხოდ. უნდა გამოვტყდე, მისმა წერილებმა ცუდი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე. ხშირად მქონია როგორც წერილობითი, ისე ზეპირი კამათი სხვა და სხვა პირებთან, მაგრამ, სულ რბილად რომ ვსთქვათ, საკითხისადმი ისეთი არა კეთილშობილური მიდგომა შემხვედრია, როგორც ეს ჩაიდინა ამხ. ამაღლობელმა. საკმარისია მკითხველმა ზერელედ მაინც გადაიკითხოს ჩემი შენიშვნები და მისი პასუხი, რომ დარწმუნდეს ამაში. ამხ. ამაღლობელი განზრახ გვერდს უვლის ჩემ მიერ ზემოდ წამოყენებულ კითხვებზე კონკრეტიულ პასუხის გაცემას და საკითხი ზოგად სფეროში გადააქვს. აქედან წარმოსდგა საკამათო საკითხის მთავარი აზრის დამახინჯება.

მაგრამ ჩემი ოპონენტი არა მარტო ჩემ მიერ წამოყენებულ კითხვებს ამახინჯებს ჩემი აზრით სწორად ვერ აშუქებს ჩვენი პარტიის პოლიტიკურ ხაზსა და ორიენტაციას ეროვნულ საკითხში. ეს უკანასკნელი კი მეტად სამწუხაროა და შეუძლია მეტად გაუგებარი მდგომარეობა შექმნას პარტიულ წრეებში.

თავისი ლოღიკური არგუმენტაციებითა და ფაქტებით ამხ. ამაღლობლის საპასუხო წერილი მეტად სუსტია და მის შესახებ მსჯელობა წყალს წაუვა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჩემმა ოპონენტმა ერთობ სუსტად იცნობს იმ ისტორიულ—კონკრეტულ პირობებს, რომელშიაც მარქს-ენგელს უხდებოდათ თავიანთი ეროვნული პროგრამის წამოყენება; სუსტად იცის ამ პროგრამის შინაარსი და მთავარი მომენტები. მიუხედავად ამისა, ჩემი წერილების საპასუხოდ არც კი მოემზადა, არც გადაათვალიერა ყველა ჩემ მიერ წამოყენებული მასალები, და ისე „ჩვენებურად—ძმა ბიჭურად“ შეუდგა წერილების წერას. მარქს-ენგელსის ეროვნული პოლიტიკის დასახასიათებლად ის სარგებლობს ჩემ მიერ მოყვანილი ციტატებით, და არც გაისარჯა ეს ადგილები თვით რუსულ დედანში გაესინჯა, შეიძლება დავამახინჯე და ყალბად გადმოვეცი. ასე ზეპირად დაწერილ წერილს, თუ რამდენი ფასი და ღირებულება ექნება, ამას მკითხველი ქვემოდ დაინახავს უფრო ნათლად.

მიუხედავად წერილის ასეთი სისუსტისა. მე მაინც იძულებული ვარ მას პასუხი გავცე შემდეგი მოსაზრებებით; ამხ. ამაღლობელის წერილები ყოველგვარ შენიშვნების გარეშე არის გაშვებული: ჩემი კი სადისკუსიო სახით გავიდა. *) ამხანაგების აზრს კი, აუცილებლად, ანგარიშის გაწევა ესაჭიროება. მეოთხე მთავარი მომენტი, რომელიც მე მაიძულებს არ დავსტოვო ჩემი ოპონენტის წერილები უპასუხოდ ის არის, რომ ჩვენში მრავალი წლების განძავლობაში ვრცელდებოდა შეხედულება. თითქოს მარქსი და ენგელსი უარყოფდენ ეროვნებას და მათ არ ჰქონდათ არავითარი ეროვნული პროგრამა. დღესაც ამ შეხედულებას დიდი ადგილი უჭირავს ჩვენს საზოგადოებრივ შეგნებაში, ამ შეხედულებას იცავს ამხ. ამაღლობელიც. მაგრამ ბოლოს და ბოლოს საჭირო არის ისტორიული ფაქტების გადამახინჯების უარყოფა და სრული სინამდვილის აღდგენა. ამ საკითხის გარშემო შინაარსიანი ლიტერატურა წარმოიშვა თვით მარქსისტების წრეებში. მათ შორის ამხ. ლენინი პირველი იყო, რომელიც შეეცადა აღედგინა მარქსის ნაციონალური პროგრამის შინაარსი.

ამ მოსაზრების გამო მართლაც საინტერესო უნდა დარჩეს საზოგადოებისათვის ამ მეტად სერიოზული საკითხის შესახებ ფართო მსჯელობა, მართალია ამას რამდენიმედ დაჩრდილავს წერილის პოლემიკური ხასიათი, მაგრამ ეს აუცილებელი ხდება და ჩვენ მას გვერდს ვერ ავუხვევდით.

თუ რამდენად ყალბად იყო გაგებული მარქს-ენგელსი ეროვნულ საკითხში, როგორც მისი მოძღვრებისაგან ისე მოწინაალმდეგებისაგან. ამის შესახებ ჩემი წერილის დასასრულში ვწერდი. ამხ. ამაღლობელს ეს არ მოსწონს და ფიქრობს, რომ მარქს-ენგელსი თავიდანვე სწორად იყო გაგებული. როგორც მომხრეებისაგან ისე მოწინაალმდეგეთაგან.

მაგრამ ვინც იცნობს მარქსისტულ ლიტერატურას ეროვნულ საკითხის შესახებ, ის დაგვეთანხმება, რომ ამ კითხვაში მარქსისტულ მომდინარეობათა სხვა და სხვა ფრთები სხვა და სხვა ინტერპრეტელაციას უკეთებდენ მარქსიზმს. სხვას, რომ თავი დავანებოთ ისეთს ახლობელ (პოლიტიკურად) პირთა მხარე როგორიც არიან, ერთის მხრით, რ. ლიუქსენბურგი, რადეკი, ბუხარინი და მეორეს მხრივ, ლენინი-ზინოვიევი წინაალმდეგობა იყო მარქს-ენგელსის ეროვნულ პოლიტიკის გეგმაშია მრავალი წლის განმავლობაში თვით მარქსიქტები გაურკვეველნი იყვნენ ამ კითხვაში და სხვანაირად ესმოდათ ეროვნული საკითხი, ვინემ ეს იყო გაშუქებული მარქს-ენგელსის მიერ.

ჟურნალ „კომუნიზმის დროშა“-ში (№ 6—7) სულ ახლა დაიბეჭდა ჩვენი ცნობილი პუბლიცისტის ამხ. ფ მახარაძის წერილი ეროვნულ საკითხის შესახებ, რომელშიც შემდეგ გულწრფელ სიტყვებს ვკითხულობთ: **„უნდა გამოვტყდეთ და ვთქვათ, რომ კავკასიის ბოლშევიკებიც საკმარისათ დიდი ხნის განმავლობაში გაურკვეველი ვიყავით ნაციონალურ საკითხში“.** მართალია, ნაციონალურ-კულტურულ ავტონომიას ჩვენ ყოველთვის უარვყოფდით გადაჭრით და ამ მოთხოვნას რეაქციონურ ლოზუნგათ ვთვლიდით, მაგრამ მეორე მხრით ნაციონალურ თვითგამორკვევას ჩვენ ბოლომდის ვერ მივყვებოდით და მარტო საოლქო ტერიტორიალურ ავტონომიის მოთხოვნის წამოყენებით ვკმაყოფილდებით, და რაც ყველაზე უფრო საგულისხმიეროა აქ, ეს ის, რომ ჩვენ გადაჭრით ვეწინაალმდეგებოდით ნაციონალურ თვით გამორკვევის გაგებას, როგორც უფლებას სრულ გამოყოფამდე და ცალკე სახელმწიფოს დაარსებამდე. თვით გამორკვევის ასე გაგებას ჩვენ დაუშვებლათ ვთვლიდით ამიერ-კავკასიის სინამდვილეში, მაგრამ ამით რომ ჩვენ ვამახინჯებდით და ვრყვნიდით თვითგამორკვევის პრინციპს, ამაზე ჩვენ ნაკლებათ ვფიქრობდით. **მაგრამ რაც ხელს გიშლიდა ჩვენ ამ შემთხვევაში სადი მსჯელობა შეგვედგინა, ეს იყო სრული უქონლობა ნაციონალური საკითხის სწორი მარქსისტული გაშუქებისა და განმარტებისა. რომელსაც 1913 წლიდან ეწეოდა ლენინი. შეიძლება ითქვას, რომ ლენინმა პირდაპირ ყირამალა აქცია ყოველივე ის, რაც იმ ხანებში იწერებოდა სოციალ-დემოკრატიულ და საერთოთ სოციალისტურ ლიტერატურაში. მეტია იმაზე ლაპარაკი, რომ იგი ამ შემთხვევაშიც, როგორც საზოგადოთ ყოველთვის, ეყრდნობოდა მარქსის და ენგელსის ნაწერებზე. აუარებელი ფაქტები, რომელიც ლენინს მოყავს თავის წერილში ამ საკითხის შესახებ მოწმობენ, რომ მარქსი და ენგელსი დიდათ დაინტერესებული იყვნენ ნაციონალური საკითხით, და ამ ფაქტებიდან საკმარისად ირკვევა, თუ როგორ უყურებდენ ისინი ნაციონალურ ჩაგვრას და დევნას“** *) (კურსივი ჩემია ს. დ.).

ეს სიტყვები მრავალის მხრით არის საინტერესო. ამხ. ფ. მახარაძე გადაჭრით აღნიშნავს, რომ დიდი ხნის განმავლობაში. სოც.-დემოკრატების მიერ ჩვენში ეროვნული საკითხი ყალბად იყო გაშუქებული და მას არავითარი საერთო არ ჰქონდა მარქსის შეხედულებებთან ამ საკითხზეო. ნუ დავივიწყებთ, რომ მარქსიზმი ჩვენმა საზოგადოებამ უმთავრესად ნ. ჟორდანიასა და ფ. მახარაძის განმარტებები და წერილებით შეისწავლა. ეროვნული საკითხის შესახებ მარქსისტული გაგება ამავე მწერლების მიერ იყო გავრცელებული ჩვენში და მათი მოწინაალმდეგენი მათი მასალებით სარგებლობდენ უმთავრესად. დღეს ერთი ამ მწერალთაგანი ამხ. ფ. მახარაძე საქვეყნოთ აცხადებს, რომ მასალების უქონლობის გამო ჩვენ მიერ ყალბად იყო გაშუქებული ეროვნული საკითხი და დაშორებული—მარქსის შეხედულებები.

რას ნიშნავს ეს? განა ეს არ არის ახალი ინტერპრეტაცია მარქსიზმისა ეროვნულ საკითხში? განა ეს არ არის გულწრფელი აღიარება იმისა, რომ მათ წინათ ვერ ჰქონდათ სწორად გაგებული მარქსის შეხედულება ეროვნულ საკითხზე? რასაკვირველია ნიშნავს, და ის „ახალი სიტყვა“, რომელსაც მე მაწერს ამხ. ამაღლობელი მარქსიზმის ანტერპერტაციის შესახებ ეროვნულ საკითხში, დიდი ხანია თქმული არ გარკვეული და ნათლად ჯერ ამხ. ლენინის მიერ და შემდეგ მის მიმდევრებისაგან.

ლენინის წერილები ნაციონალური საკითხის შესახებ ძვირფას მასალას წარმოადგენს მარქს-ენგელსის პოლიტიკის გასაგებად ეროვნულ საკითხში. და ეს წერილები და რეზოლიუციები, რომელნიც უმთავრესად მიმართული იყო როგორც ლიუქსენბურ-რადეკის წინაალმდეგ, ისე სოციალ-ნაციონალისტების წინაალმდეგ, **ახალ ერას იწყებს** მარქს-ენგელსის გაგების საქმეში ამ საკითხში.

და აი, როდესაც მარქსის მიმდევრები ენერგიულად ახდენენ თავის შეხედულებების რევიზიას და ახალ გაგებას აძლევენ ეროვნულ საკითხს ახალი მასალებისა და ისტორიულ დოკუმენტების გამოყენებით, საჭიროა თუ არა ჩვენის, მარქსიზმის მოწინაალმდეგეთა მხრითაც **რევიზია** მოხდეს ჩვენს მარქსის ეროვნულ საკითხში გაგებაშიც, რომელიც აუცილებლად აღმოცენებული იყო მარქს-ენგელსის ყალბად გადმოცემულ ინტერპრეტაციაზე? არამც თუ საჭიროა, იგი **აუცილებელიც** არის. შეუძლებელია ჩვენ მარქს-ენგელსის შესახებ ეროვნულ საკითხში იმავე შეხედულების დავრჩეთ. როგორისაც იყვნენ ჩვენი პარტიული წინაპრები, მას შემდეგ, საცა ძვირფასი დოკუმენტები გამოქვეყნდა (ჩვენთვის) და რაც მარქს-ენგელსის ეროვნული პოლიტიკა ახალ გაშუქების პერიოდში შევიდა?—ამას მოითხოვს ისტორის სამართლიანად გაგება და ჭეშმარიტება. მაგრამ ამას ებრძვის პარტიული ფანატიზმი და სექტანტიზმის იდეოლოგია, რომელსაც ახასიათებს სერვილიზმის გრძნობა თავის წინაპართა წინაშე და არა კრიტიკული ანალიზი.

ამხ. ამაღლობელი ასეთი გრძნობებით უფრო არის გამსჭვალული, ის პარტიული ფანატიზმით არის დაავადმყოფებული და არ აქვს შეძლება კრიტიკულად შეაფასოს ღირსშესანიშნავი ფაქტები. ის ძველი ფედერალისტების სათვალეებს იკეთებს ცხვირზე, რომ არ დაინახოს სხვის ოჯახში კეთილი საქმე.

გადაიკითხეთ ამხ. ამაღლობელის წერილები

*) ამ საკითხის შესახებ ყველა წერილები სადისკუსიოთ მიდის. ამ წერილის გაშვება კი ცოტა დაგვიგვიანდა.

**რედ.**

*) იხ. 9. მახარაძე: „ნაციონალური საკითხი“ გვ. 6—7 ჟურ. „კომუნიზმის დროშა“ № 6—7.

15.100.000; ჩეკი—13.000.000; დოლარი ეფექტივი—3.500.000; ჩეკი—3.150.000; ოსმალური ქაღალდის ლირა 2.075.000; ფრანკი 165.000, იტალიური ლირა 125.000 მანეთი ამიერ-კავკასიის ბონებით. ვერცხლის მანეთიანი—92 კაპეიკი ჩერვონეცის კურსზედ.

**საქონლის ბირჟა.** 1 ივნისს საქონლის ბირჟაზე საერთო მდგომარეობა იყო საშუალო. ადგილობრივი ფქვილი გაიაფდა.

— **მოთხოვნილება.** საქონლის ბირჟაზე იყო მოთხოვნილება; სოხუმის და ლაგოდეხის თამბაქოზე, ლურსმანზე, რკინეულობაზე, ქინაქინზე, ნაფტალინზე, პარაფინზე, სასოფლო-სამეურნეო იარაღზე, ბრეზენტზე, თეთრ ფქვილზე, მუშის ფეხსაცმელზე, შაბი ამანზე, მატყლზე, ცხვრის წელებზე და სხვა.

— **წინადადება** იყო: ლაგოდეხის და სოხუმის თამბაქოზე, პარაფინზე, ძარსელის საპონზე, რკინეულობაზე და სხ.

# მივხედოთ ფერეიდნელ ქართველებს.

ცხოვრების უკულმართმა მსვლელობამ და ხალხთა ველურობამ თავისი დაღი დაამჩნია ქართველ ხალხს. საქართველოს თავის არსებობის პირველ დღიდან ხმალი ქარქაშში არ ჩაუგია, არა ერთხელ და ორჯერ გაუნადგურებიათ საქართველო ვერაგ მტრებს, რომალნიც ცეცხლით და მახვილით მოდიოდნენ საქართველოს მოსასპობად. ზოგს აქ ხოცავდნენ და ზოგიც თვით მიჰყავდათ გადასაგვარებლად და გადასარჯულებლად. მთელი ის საუკუნოები, რომელნიც განუცდია ქართველ ხალხს, გარდა მცირე გამონაკლისისა, ტრაღედიას წარმოადგენს, მაგრამ, თუ ჩაუკვირდებით, ამ ტრაღედიაშივე მარხია სილამაზე, სიმშვენიერე და გმირული სული ქართველთა. მიუხედავად მტერთა მრავალ რიცხოვანობისა და გამუდმებული ბრძოლებისა ქართველთ მაინც შესძლეს შენარჩუნება ეროვნული სახის ჩვენს დრომდე, ხოლო დღეს ეს პაწია ერი დარაზმულია საკაცობრიო იდეალების დასაცავად, აქ არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ ქართველები არც წარსულში ყოფილან სხვათა უფლების ფეხ ქვეშ გამთელავი, რაიც გამომხატველია მის კეთილშობილებისა.

ქართველი ხალხის უმწვერვალესი ტრაღედიის გამომხატველი არის დღეს სპარსეთის ფერეიდანელ ქართველების წარმომადგენელი სეიფოლა იოსელიანის ფიგურა თავისი სპარსული ჩაცმა-დახურვით და შერეული ქართულ-სპარსული ტიპით, რომელიც თითქო ობლად გამოიყურება. მაგრამ თითქმის ყოველ ტრაღედიაში არის ხოლმე ერთგვარი სილამაზე, რომელიც ადამიანის გონებას ახალისებს და ერთგვარ ცვლილებას ახდენს მის აზროვნებაში, ამიტომ, თუ სეიფოლას ფიგურა არის დღეს ქართველი ერის მრავალ საუკუნოების განმავლობაში განვლილი ტრაღედიის სარკე, ამავ ტრაღედიაშივე მარხია მისი ბედნიერებაც.

როდესაც შაჰაბაზმა ქართველები გადაასახლა მორეულ სპარსეთში და ინდოეთში, რასაკვირველია, მას ჰქონდა სახეში ქართველი ერის მოსპობა, მაგრამ ბედმა საესებით არ გასწირა ქართველნი და დღეს საქართველო კვლავ ცოცხალია. როგორც შაჰაბაზს, აგრეთვე ძველ რუსეთსაც, რომელმაც მოუსპო დამოუკიდებლობა საქართველოს ამ 120 წლის წინეთ განზრახვა ჰქონდა საქართველოს საბოლოოთ სიკვდილი, მაგრამ სინამდვილეში მეფე ერეკლეს გენიამ თავისი გზა არ დაჰკარგა და რუსის ხიშტის მეოხებით გაერთიანდა თავად-აზნაურების მიერ დასუსტებულ-დანაწილებული საქართველო, რომელსაც შეუერთდა ნაწილი სამაჰმადიანო საქართველოს.

რუსეთის რევოლიუციამ დაამხო ნიკოლოზ მეორეს ტახტი, და საქართველოც მკვრეთით აღსდგა. მოხდა სასწაული, რომელსაც არავინ არ ელოდა, გარდა ორიოდე შორსმჭვრეტელი ქართველი მებრძოლისა. საქართველო ისეთი ჯადოსნური ქვეყანა აღმოჩნდა, რომ სასიკვდილოდ გამზადებული უკვდავების წყაროს დაეწაფა და მისი სიკვდილი ვერ შესძლეს ვერც შაჰაბაზებმა და ვერც რუსის მეფეებმა იმპერიალისტური პოლიტიკით.

სპარსელების და ოსმალოების პოლიტიკამ, რომელიც მიმართული იყო საქართველოს მოსპობისაკენ და რომლებმაც მოგვტაცეს ჩვენი ძმები და დები, შეიძლება ერთგვარი ნაყოფიც მოიტანოს ჩვენთვის, თუ ამას, რასაკვირველია, ქართველი ხალხი ალღოს აუღებს და მისთვის შექმნილ ხელსაყრელ პირობებს ხელიდან არ გაუშვებს და ისარგებლოს მომენტით. სნქართველოს ტრაღიზმი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ არა გვაქვს მეზობლურ-მეგობრული განმტკიცებული დამოკიდებულება ოსმალეთ-სპარსეთთან.

დღეს ნაკლებად გვყავნან ნამდვილი თავდადებული გმირები, სამშობლოსადმი სპეტაკი სიყვარულით გამსჭვალულნი. მენშევიკებმა სამშობლო მაშინ შეიყვარეს, როდესაც იგი მათ ს. ფურად გადაიქცა, დღეს იმიტომ „იბრძვიან“, რომ უნდათ დაიბრუნონ დაკარგული ტახტები. საჭიროა ბოლო მოეღოს ამ საზიზღრობას და ყველამ ნათლად შეიგნოს სამშობლოს და კაცობრიობის წინაშე თავისი მოვალეობა.

ჩვენში არის ერთი ჯურის ხალხი, რომელსაც ასე ჰქონია, დიდ საკაცობრიო საქმეს აკეთებს, როდესაც იგი უყურადღებოდ სტოვებს ხალხის ეროვნულ ინტერესებს. მაგრამ განა ისეთი ადამიანი, რომელსაც გული არ შესტკივა თავისი ერისთვის, ის სხვა ერებს შეიყვარებს?! არა და ათასჯერ არა.

ჩვენ ინტერნაციონალი იმისთვის გვინდა, რომ უკეთ დავიცვათ ჩვენი ეროვნული ინტერესები და მისი ფიზიკური არსებობა უზრუნველ ვჰყოთ. მაშასადამე, ვინც ცრუ სოციალისტი არ არის, ის აუცილებლად უნდა წავიდეს ეროვნული გზით სოციალიზმისკენ.

ეხლა მინდა სოციალისტური და ეროვნული თვალსაზრისით დაუბრუნდეთ და შევჩერდეთ ქართველ სპარსელებზე.

ჩვენში ტრიალებს ასეთი აზრი, რომ სპარსელ ფერეიდანელ ქართველები გადმოსახლებულ იქმნან საქართველოში. ჩემის აზრით, ეს არ იქნება მიზან შეწონილი ჩვენი ეროვნული ინტერესებისათვის. ყველასათვის ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველოში და განსაკუთრებით რაჭაში—საშინელი მიწის სივიწროვეა; მეორე, თუ გადმოვასახლებთ ფერეიდანელ ქართველებს, ხელ'ში შეგვრჩებიან მარტო ისინი, და, თუ იქ, ფერეიდანში ადგილობრივათ შევაჩაღებთ კულტურულ მუშაობას ფერეიდანელ ქართველების მეოხებით, ჩვენ შეგვიძლიან დავიახლოვოთ ის ქართველებიც, რომელნიც იქ უკვე გადარჯულებულნი არიან და დაუკარგავთ სამშობლო ენაც. ნუ თუ სამუდამოდ დაკარგულად უნდა ჩავთვალოთ ის ქართველები, რომლებმაც უკვე ენა დაჰკარგეს?! ეს რასაკვირველია ჩვენზეა დამოკიდებული.

თუ სხვები ახერხებენ თავიანთი გა[illegible]ლი ძმების უკან დაბრუნებას, [illegible] ვიძლიან ეს?

ამიტომ დაუყონებლივ [illegible] ძმების და დების ძებნას, [illegible] გება-გაზიარებას და მხოლოდ შემდეგ უნდა შევუდგეთ სათანადო მუშაობას მათში ფერეიდნელ ქართველების საშუალებით. ახლა კი საჭიროა გაცხოველებული კულტურული მუშაობის დაწყება თვით ფერეიდანელ ქართველებში. მთავარი ჩვენი ყურადღება იქით უნდა მივაპყროთ, რომ რაც შეიძლება ბლომათ აღვზარდოთ სპარსეთსა და ოსმალეთში მყოფ ქართველი ახალგაზრდები და მივაღებიოთ მათ სალი ეროვნულ-სოციალისტური განათლება. თუ ჩვენი მჭერმეტყველური ორატორების ხმა გაისმოდა მქუხარეთ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში, მით უმეტეს საჭირო არის, რომ სპარსეთის და ოსმალეთის მეჯლისებში გაისმოდეს აგრეთვე ქართველ-მაჰმადიანების ხმა, რათა შევსძლოთ მტკიცე და ნამდვილი მეზობლურ-მეგობრული ურთიერთობა დავამყაროთ ოსმალეთ-სპარსეთთან.

მართალია, ღარიბ საქართველოს გაუძნელდება ამ საქმის შესრულება, მაგრამ სადაც რწმენა და საქმის სიყვარულია, იქ სიძნელე ილახება ხოლმე, ამიტომ ამ საქმისთვის საჭიროა აუცილებლად დაარსება განსაკუთრებული ფონდი ვინ იქნება ისეთი ძუნწი და შეუგნებელი ქართველთა შორის, რომ თავიანთი დაკარგული და იქ ნაპოვნი ძმების და დებისათვის რამეს დაიშურებს შესაძლებლობის ფარგლებში.

პატივცემულ „ტრიბუნის“ მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ტფილისში დაარსდა საზოგადოება „მუქურა“, რომლის მიზანია აღწერა და გადაღება, როგორც სრულიად საქართველოსი, აგრეთვე მის საზღვრებს იქით გარდახვეწილ ქართველთა.

ველით ფართო საზოგადოების გამოხმაურებას და თანაგრძნობას.

**ვარლამ ჩლაიძე.**

# პროვინციაში

**მოლითი.** ამ წლის 24 მაისს მოლითის თემის აღმასკომის შენობის წინ დავინახე, რომ ბუზივით ირევოდა გლეხკაცობა; მე, რასაკვირველია, დავინტერესდი და ვიკითხე, თუ რათ იყო ხალხი აღმასკომში მოწვეული; პასუხათ მივიღე ადგილობრივ კოოპერაციის შესახებ არის ჩამოსული ცენტრიდან წარმომადგენელი, ამხ. კალმახელიძე, რომელმაც უნდა ძველი კოოპერატივი გადაქმნას და დაარსოს სრულიად ახალიო. მეც აველი ადგილობრივ სალამოს საათის 5—6 საათზე. გახსნა კრება თემის აღმასკომის თავმჯდომარემ, ამხ. ს. ცუცქირიძემ. მოხსენება გააკეთა ამხ. კალმახელიძემ; კითხვა დაისვა აერჩიათ კომისია ძველი კოოპერაციის გასაუქმებათ და მისი ქონების ახალ კოოპერატივში გადმოსატანად. ამ დროს ყოველ რიგს გარეშე გამოვიდა თემის კომის. თავმჯდომარის ამხანაგი, ს. ტალახაძე და პატარა სიით ხელში გადასცა ხალხს არჩეულ ყოფილიყვნენ ამ კომისიაში აუცილებლად შემდეგი პირნი. 1) თემის თავმჯდომარე, ამავე დროს ძველათ არსებული კოპერაციის თავმჯდომარეც ამხ. ს. ცუცქირიძე 2) კოოპერაციის გამგეობის წევრი, ამხ. კოლა გულაძე. და 3) პარტიული ამხ. ვ. სა-

და თქვენ დარწმუნდებით იმაში, რომ აქ პარტიული ფანატიკოსი ლაპარაკობს და არა კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნება. ამ წერილებში თქვენ ვერ ნახავთ ვერც ერთ წინადადებას, ვერც ერთ ბწკარს, ვერც ერთ სიტყვას, რომელშიაც აღნიშნული იყოს მარქს-ენგელსისა და მისი მიმდევრების, დღევანდელი კომუნისტების ეროვნული პროგრამის შესახებ დადებითი მხარე. თავიდან ბოლომდე ჩემი ოპონენტის წერილი უარყოფითად ახასიათებს მარქსა და მის მიმდევრებს ეროვნულ საკითხში.

რას ნიშნავს ეს? პარტიულ დოგმატიზმს, უწინარეს ყოვლისა, შემდეგ კი ჭეშმარიტების უარყოფას. განა მარქს-ენგელსის მოღვაწეობაში და ნაწერებში ეროვნულ საკითხის, ან რომელიმე ერის საკითხის დაყენების საქმეში არ არის არც ერთი ღირსშესანიშნავი მომენტი, რომელიც დადებითად იყოს გადაწყვეტილი? რასაკვირველია არის: ირლანდიისა და პოლონეთის დამოკიდებულება, გერმანიისა და იტალიის ეროვნული გაერთიანება, ელზას-ლოთარენგისა და ჰუნგრეთის საკითხი, და მრავალი სხვა ყოველი ეპოქის მიხედვით მარქს-ენგელსმა შედარებით გადასწყვიტეს და ამით გარკვეული ეროვნული პროგრამა წამოაყენეს სხვა და სხვა ერებისათვის განსაზღვრულ ისტორიულ-კონკრეტიულ პირობებში. განა ეს დადებითი მოვლენა არ არის? რასაკვირველია არის, მაგრამ ჩემი აპონენტისათვის ეს არ არსებობს. ის ხელახებით, „ოპტომ“ უარყოფს მარქს-ენგელს ამ საკითხში.

თავის თავად ასეთი დასკვნა შემცდარია და ელემენტარულ კრიტიკას ვერ უძლებს. მარქს-ენგელსა და მის მიმდევრებს (კომუნისტებს) აქვთ მრავალი დადებითი მხარეები თავიანთ ეროვნულ პროგრამაში, მაგრამ აქვთ აგრეთვე უარყოფითიც. ამ მომენტებს გარჩევა უნდა კრიტიკული ანალიზით, [illegible]ისა და დადებითის მიღება, უარყოფითის უკუგდება—და არა „ოპტომ“ უარყოფა მთელი მარქს-ენგელსის ეროვნული პროგრამისა. ამხ. ამაღლობელს „ოპტომ“ უყვარს ვაჭრობა და ასეთი მეწვრილის როლში ვერ გამოვა. „Или все, или ничего“—გაჰკივის ჩვენი რიხიანი ოპონენტი.

მაგრამ ასეთი მსჯელობა აბსურდია თავის თავად ყალბი კრიტიკული ანალიზის მიხედვით.

მეორეს მხრით მარქსის ეროვნულ პოლიტიკასთან ნათესაობის ნახვას მეტად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ჩვენი პარტიისათვის.

ერთი მთავარი ბრალდება, რომელსაც ჩვენ მემარჯვენე ფედერალისტები გვიყენებდნენ ეს იყო რომ ჩვენ ვუღალატეთ ეროვნულ პოლიტიკას და ამით პარტიას ამოვუდექით გვერდში, რომლისთვისაც ეროვნული საკითხი არაფერი არ არის, [illegible]ლო ტაქტიკის საკითხია. მემარჯვენეები გვიმ[illegible]ბდენ, რომ კომუნისტებს, როგორც მარქსისტებს არ შეუძლიათ ეროვნული საკითხის სწორად [illegible]ჭრა.

ჩვენმა პარტიამ ჩვენი ერისა და ჩვენი პარტიის [illegible] ფართოდ დაუკავშირა იმ დიდ მოძრაობას, რომელსაც შინაარსსა და გარკვეულ სახეს აძლევს კომუნისტური პარტია, უკეთ, კომინტერნი. ჩვენ ვამბობდით: სოციალურ ცხოვრების ტრანსფორმაცია შესაძლებელია **მხოლოდ** კომინტერნის მეთოდების საშუალებითა და პლატფორმის ნიადაგზე. ამგვარად სოციალური კითხვების გადაჭრაში ჩვენ ვნახეთ საერთო ენა და გავაბით იდეური ნათესავობა კომუნისტურ პარტიასთან. ჩვენმა პარტიამ მეორე კითხვაც დააყენა: მართლა საფრთხეს წარმოადგენს ეროვნული ხაკითხი კომუნისტების ხელში? მე შემიძლია გადაჭრით განვაცხადო, რომ ამ კითხვაშიაც შესძლო ჩვენმა პარტიამ **ნათესაური კავშირის** გამონახვა კომპარტიასთან და დაუმტკიცა მოწინაღმდეგებს, რომ მათი ბრალდება მხოლოდ დემაგოგია და გაუგებრობა იყო და მეტი არაფერი. ეროვნულ საკითხში ნათესაური კავშირის გამოძებნას კომპარტიასთან მეტად დიდი ზნეობრივი და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი პარტიისა და ჩვენი ერისათვის. და ასეთი **კავშირის, ასეთი ნათესაური** დამოკიდებულების პოვნა შესძლო, არა ცალკე პირებმა და პარტიის ხელმძღვანელებმა, არამედ ერთხმად მთელმა ყრილობამ, რომელიც ამავე დროს დამფუძნებელი კრება იყო ჩვენი პარტიისათვის. 1921 წლის ნოემბრის თვეში ჩვენი პარტიის პირველმა ყრილობამ განიხილა რა არსებულ ინტერნაციონალების პლატფორმები, დაადგინა:

**„დღევანდელ პირობებში ერთად ერთი უძლიერისი საერთაშორისო რევოლიუციის ავანგარდი არის მესამე კომუნისტური ინტერნაციონალი, რომლის პლატფორმა მისაღებია და სასარგებლო როგორც დაჩაგრულ ერების, ისე კლასებისათვის“**. დადგენილების მეორე მუხლში ყრილობის ეროვნულ საკითხის შესახებ შექონდა თავისი შესწორება ამაზე ცოტა ქვემოდ. მეორე ინტერნაციონალის შესახებ ყრილობის რეზოლიუცია ამბობდა: **„სოციალ-იმპერიალიზმი და მთელი მეორე ინტერნაციონალის პლატფორმა: დაჩაგრულ ერთა და კოლონიების სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ არის მიმართული და ამაგრებს დრო მოჭმულ კაპიტალიზმის ბატონობას“**. *)

რას ამბობენ ეს რეზოლიუციები? განა ისინი ჩვენ არ გვეუბნებიან გარკვევით, რომ ყრილობამ დიდი ნათესაური კავშირი პოვა კომინტერთან და თავისი ერის ბედი გადააწნა თანამედროვე კომუნისტურ მოძრაობას? ყრილობის დადგენილება ერთს ლაღადებს გარკვევითა და ნათლად: **დაჩაგრულ ერებისა და კლასის განთავისუფლება შესაძლებელი არის მხოლოდ კომინტერნის საშუალებითა და მისი პლატფორმით.** ასეთი პოლიტიკური ხაზის აღება ხელს არ უშლიდა ყრილობას თავისი მხრით შესწორება შეეტანა კომინტერნის პლატფორმაში ეროვნულ საკითხის შესახებ. ეს შესწორება გამოიხატა მხოლოდ ერთს მუხლში და ერთ მომენტში: „ყრილობას საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს, რომ მე-3-ზე ინტერნაციონალს ფედერაცია მიაჩნია გარდამავალ ფორმად ყველა ერების მშრომელთა სრული გაერთიანების შესაქმნელად, რაც მიუღებელია სოციალიზმ ფედერალიზმისათვის“ (იქვე).

როგორც მკითხველი ხედავს, ყრილობას მთელი თავისი სიმძიმით კომინტერნის პლატფორმაზე სდგას და მხოლოდ ფედერაციის გაგების, უკეთ, ერების მშრომელთა სრული მთლიანობის შექმნის საქმეში აცხადებს სხვა აზრს. ამით ყრილობამ გამანადგურებელი მახვილი ჩასცა ჩვენს მოწინააღმდეგეებს და დაადგინა, რომ კომინტერნის პლატფორმა საერთოდ მისაღები და სასარგებლოა ერებისა და კლასებისათვის.

ახლა გადაიკითხეთ თქვენ ამხ. ამაღლობელის საპასუხო წერილი და მიჩვენეთ თუ გინდ ერთი ადგილი, სადაც გამართლებული იყო ჩვენი დღევანდელი ეროვნული პოლიტიკა და ჩვენი ნათესაური დამოკიდებულება ამავე საკითხის შესახებ კომინტერთან.

ამხ. ამაღლობელი სწერს: „ერთი სიტყვით, **ეროვნული საკითხი უნდა იყოს ან ტაქტიკის საკითხი, რომელსაც მაშინ მივიხმართ, როცა გამოგვადგება და მაშინ უკუვაგდებთ, როცა საჭირო აღარ იქნება; ან და იგი უნდა იყოს პრინციპი, რომელიც ყოველთვის უნდა მოვიხმაროთ და რომელსაც ყოველთვის უნდა მოვიხმაროთ და რომელსაც ხელს ვერასოდეს ვერ გაუშვებთ;** პირველი წესით საკითხის დაყენება არის მარქსისტული, მეორე—სოც.-ფედერალისტური. ამხ. სან-დონს სურს, რომ პირველიც დაიცას და მეორეც, ამიტომ იგი ვერც ერთს იცავს და ვერც მეორეს“ (იხ. „ტრიბუნა“ № 476. კურსივი ჩემია ს.-დ.)

ამ ციტატში რამდენი ბწკარია, იმდენი შეცდომა არის: ეროვნული საკითხი პრინციპის საკითხიც არის და ტაქტიკის მხარეებსაც შეიცავს და ამიტომ სან-დონი ერთსაც იცავს და მეორესაც.

მეორეს მხრით ეროვნული საკითხი კომინტერნისათვის არ არის მხოლოდ ტაქტიკის საკითხი, იგი უახლესად პროგრამის საკითხიც არის ამხ. ლენინის გენიალურმა შორს მჭვრეტელობამ და დიდმა პოლიტიკურმა ნიჭმა ეროვნული საკითხი გასწმინდა ყოველგვარ გაუგებრობისა და ზედმეტი ბალასტისაგან, და გარკვეულ გზაზე დააყენა ეროვნული საკითხისა და რევოლიუციის ინტერესების შეუღლებით. ეროვნული საკითხი ლენინიზმის სკოლაში დიდ დაწინაურებასა და პატივისცემაში არის ეს სკოლა საუცხოვო პრაქტიკულ პოლიტიკურ ხაზს იმუშავებს ეროვნულ საკითხის სწორედ გადასაწყვეტად. ამ სკოლაში განათლების მიღება დასჭირდებათ არა მარტო მარქსისტებს, არამედ პროფესიონალისტ-ეროვნულ-სოციალისტურ მოღვაწეებსაც, რომელთაც თავიდან დასჭირდებათ პირველდაწყებითი კურსის გავლა, რომ შესაფერისად შეითვისონ განმეორებითი კურსი და წარმატებით დაიჭირონ გამოცდები ეროვნულ საკითხში.

ასე მსჯელობდა ჩვენი ხელმძღვანელი ამხ. **თ. ღლონტი.** რომელმაც თავიდანვე ეროვნული პოლიტიკის საზომი განიხილა ბოლშევიკური მოძრაობა და კომინტერნის პლატფორმის განაღდებაში დაინახა ეროვნული იდეალების განაღდების ერთად ერთი საშუალება. ამხ. თ. ღლონტი თანამედროვე რევოლიუციის დაბადების დღიდანვე (1971—18 წ.) შეუდგა მათი ხელმძღვანელობის, კომუნისტების ეროვნულ-პოლიტიკურ პროგრამის შესწავლას საერთო პლატფორმასთან ერთად და ჩვენი პარტიის ძველს ორგანიზაციაში პირველად შემოიტანა აზრი, რომ ერთად-ერთი რეალური ძალა, რომელიც ერების განვითარებას ხელს შეუწყობს და თავის ზნეობრივ მოვალეობად ისახავს ყოველგვარ ჩაგვრის მოსპობას. ეს არის კომუნისტური მოძრაობა. და ეს მოსაზრებანი, რომელნიც ვითარდებოდა ჯერ კიდევ ჩვენი პარტიის ორგანიზაციაში. საფუძვლად დაედვა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წარმოშობას.

ჩვენი ამხანაგი **ეფ. საჩინოელი** ჯერ კიდევ 1921 წ. ამბობს პირველ დღეებში ეროვნული პოლიტიკის საზომით იხილავდა რევოლიუციერ მსვლელობას და მენშევიკებისა და ყოველი ჯურის მემარჯვენეებისაგან და მფლობელ საზოგადოებას ეუბნებოდა, **ქართველებს არ ეშინია ეროვნული არსებობის კატასტროფის, რადგან ქართველ ერს თავის მოკავშირეთ ეგულება ლენინი და მესამე ინტერნაციონალი“**. (იხ. „სოც.-ფედერალისტი“. № 39, 1921 წ.)

სულ აგერ ახლა, ამხ. **პ. კვირკველიამ** თავის მოხსენებაში მე-12-ე ყრილობის შესახებ **დამაკმაყოფილებლად** ჩასთვალა (თუ არ მივიღებთ მხედველობაში მარქსისტულ მისვლას საკითხთან ავტორის აზრით), კომპარტიის რეზოლიუციები ეროვნულ საკითხის შესახებ.

ამ ფაქტებიდან მკითხველი ნათლად დაინახავს, რომ ჩვენი პარტიის ხელმძღვანელები და თვით მთელი ყრილობა იმის ცდაში იყო, რომ ნათესაური კავშირი გამოეძებნა მთავარ საკითხებში და ასით საშუალება მიეცა ჩვენი პარტიის პოლიტკიური ნაბიჯისათვის.

არის თუ არა ამხ ამაღლობელის არგუმენტაცია ამ ხაზის გამართლებისაკენ მიმართული? მე ვფიქრობ, რომ არა...

მკითხველი უნდა დაგვეთანხმოს იმაში, რომ მეტად დიდი პოლიტიკოსი და რეალური ღირებულება აქვს ჩვენთვის იმ შეხედულების რევიზიას, რომელიც ყალბად გაგებულ დებულებებიდან წარმოსდგა თითქოს მარქს-ენგელს არ ჰქონდათ ეროვნული პროგრამა და ერების გადაშენების ქადაგობდენო. მარქს-ენგელსის ეროვნული პროგრამის სწორად გაგება ამაგრებს და აძლიერებს ჩვენს დღევანდელ პოლიტიკას.

ეს მკაცრი პოლიტიკოსი მზიანი ჰქონდა ჩემს წერილს საჩუქლად დადებული და ტყვილა ჰგონია ჩემს ოპონენტს, რომ ასეთი რევიზია ვინმეს გაამარქსისტებს.

**ხან—დონ.**

*) იხ. ყრილობის რეზოლიუცია ინტერნაციონალის შესახებ „ტრიბუნას“ № 68 1921 წ.

ლური. ეს სიტყვები ისეთი წარმოთქმული იყო ამხ. ს. ტალახაძისაგან, ვითომდაც ეს კანონად უნდა ქონოდათ გლეხებს ერთსა და იმავე პირების ყველა საქმეში ამორჩევა. რასაკვირველია როდესაც შეეკითხენ კრებას სურდათ თუ არა ეს პირები კომისიაშიდ, იმათ შიშს ქვეშ წაიბუტბუტეს: ან არჩევა ვინ გვკითხა და ან უარს ვინ გვათქმევინებსო“.

როდესაც კრება დაიხურა და გლეხები დაბრუნდნენ თავიანთ სახლისკენ ძლიერ აღელვებული იყვნენ. ამბობენ: „კაცო, რისთვის გვიბარებენ და რისთვის გვაცდენენ საქმეზედ, დღეს მთელი დღე აქა ვართ ტყუილა, თვითონ როგორც უნდათ ისე სწყვეტავენ საქმეს, ჩვენ არც კი გვეკითხებიან; ჩვენ ყველა გვატყუილებს მოსულიც და აქაურიც; ისევ გამგეობის წევრები აირჩიეს. ვინ გაუკეთოს რევიზია მათ, თუ დღემდის რა არის კოოპერატივებით, რა მოიგო ან რა წააგო. დღემდის ხომ ვაჭრობდენ თუ ვინმემ რამე ჰსთქვით, დაჭერა მზათ არის“. ვღებულობ რა ამას მხედველობაშიდ, ვფიქრობთ რომ ასეთი საქციელი საბჭოთა ხელისუფლების შემრცხვენელი არის და უკარგავს მას ხალხში ნდობას. საჭიროა მიექცეს დიდი ყურადღება.

მოლითის მგზავრი.

### აბაშა.

აბაშის რაიონში, ანტანტის თავაშვებული იმპერიალისტების ბელადი კერზონის თანამგრძნობ ვაჟბატონები ნეტარ ხსენებული მენშევიკებისა და სხვა მათი დამქაშების სახით, გართული არიან ოცნებაში ამხ. ვოროვსკის მკვლელობა, თავხედური ულტიმატუმი ანტანტისა სიბჭოთა რუსეთისადმი ბინძური ხელებით რურის ოლქის დარბევა აწიოკება, იარაღის ჟღარუნი იმპერიალისტებისა ახალი სისხლის ღვრის გასაჩაღებლად, ყველა ერებს შავს იმედს უღვიძებს შავი ზღვისკენ მაცქერალთ მაგრამ ფთხილათ, ბნელეთის მოციქულებო! მუშათა და გლეხების მთავრობა ფხიზელი დარაჯია მშრომელთა კლასიურ ინტერესების.

ყოფილი მღვდლები, ქრისტეს „მოციქულები“, დღეს თამამად გამოდიან ხალხში ცილინდრით და „ტროსტით“ ხელში. სიამოვნებას გრძნობ ადამიანი, როცა ხედავ, რომ ნეტარ ხსენებული ნიკოლოზისა და მენშევიკების ყოფილი ჯაშუშები, დღეს ხალხისათვის საქელ დღეო საქმეში არიან ჩაბმული... ასეთია სოციალისტური რევოლიუციის ბუნება!!

ელლას.

## ბახმარო.

**(სამეცნიერო ექსპედიციის ხელმძღვანელ პროფესორ ა. ს. ალადაშვილის და პროფ. ს. გოგიტიძის მოხსენების მიხედვით).**

არც ერთი მნიშვნელოვანი კურორტი საქართველოში ისე შეუსწავლელი არ არის, როგორც ბახმარო, რომელიც თავისი ყოველმხრივი ღირსებით საქართველოს არც ერთს ცნობილ აგარაკს არ ჩამოუვარდება. ვერ დავასახელებთ ვერც ერთ სერიოზულ ნაკვლევს, რომელიც ოდნავ მეცნიერულად დამუშავებულ დამაკმაყოფილებელ ცნობებს იძლეოდეს ამ შესანიშნავ აგარაკის შესახებ. ეს დიდი ნაკლი რამოდენიმედ გამოსწორებული იქნა იმ სამეცნიერო ექსპედიციის მიერ, რომელიც მაშინ 1922 წელს ზაფხულში გაემგზავრა ჯანსახ-კომის განკარგულებით აგარაკ ბახმაროზე საქ. სახელმწიფო უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის დეკანი პროფ. ა. ალადაშვილის და ამავე უნივერსიტეტის პროფ. გოგიტიძის ხელმძღვანელობით. ექსპედიციამ მთელი ზაფხული დაჰყო ამავე ბახმაროზე, შეისწავლა რამდენადაც შესაძლებელი იყო იგი და ჯანსახკომის კოლეგიას თავისი მუშაობის შედეგების შესახებ წარუდგინა მთელი რიგი მოხსენებათა, რომელთა შინაარს მოკლეთ გავაცნობთ მკითხველ საზოგადოებას.

**1. ბახმაროს გზები.**

ბახმაროსკენ მიმავალი გზები წარმოუდგენელი რამეა. ეს გზა კი არა ნადირების სავალი ბილიკია. ზოგიერთ ადგილზე ცხენით გავლაც არ შეიძლება. მიმავალი ისეთ ღარებს შეხვდება, რომ თუ წინ შეხვდომილ მგზავრს არ უყვირე, ან ერთი უნდა დაბრუნდეს უკან ამ მეორე. ცხენით ერთი მეორეს შემოვლა—შეუძლებელია. გზა მეტის-მეტად მდიდარია სანახაობით, თუმცა გზის სიძნელე გავიწყებს ისარგებლო ამ სიმშვენიერით. „საბაჟოს“ რომ ასცილდებით. თქვენს თვალწინ იშლება გურიის, ბათომის ოლქის და იმერეთის მრავალფეროვანი ბუნება; სურათს ამთავრებს კავკასიონის ქედი და შავი ზღვა.

თუ კარგი გზა გაკეთდა, ევროპიელები მხოლოდ გზის სიმშვენიერის სანახავადაც მოვლენ. მთელი გზა მიიმართება უმდიდრეს ტყეებს შორის და როცა ტყეები თავდება, იწყება ალპიის საძოვარი ადგილები.

**2. ბახმარო.**

ბახმარო მდებარეობს 19-0 მეტრის სიმაღლეზე, ის გარს შემორტყულია ჯერ წიწვიანი ტყით და შემდეგ საძოვარი მთებით, რომელნიც ზოგ ადგილს თოვლით არიან დაფარული და იმყოფებიან ბახმაროზე 350—400 მეტრით მაღლა. სწორედ ეს მთები, რომელზედაც ზაფხულის განმავლობაში თოვლი არ დნება, იფარავს ბახმაროს ქარისაგან და ამის გამო აქ იშვიათია ქარიანი ზაფხული. საერთოდ ბახმარო ისეთი ჰაერის მიმდინარეობაა, როგორც ზღვის პირად—სალამოს ზღვიდან მთისკენ მიჰქრის გრილი ჰაერი და დილით მთიდან ზღვისკენ. ბახმაროდან ზღვამდი პირდაპირი ხაზით იქნება 40 ვერსი, პროფ. ა! ალადაევილის აზრით, ასეთ სიმაღლეზე ასეთი ნაზი ჰაერი ზღვის გავლენას უნდა მიეწეროს. ზოგი ავადმყოფი, რომელიც სხვა უფრო დაბალ კურორტზე ვერ სძლებს, ბახმაროზე მშვენივრად გრძნობს თავს.

ბახმარო უფრო მეტს შესწავლას საჭიროებს. ვიდრე სხვა რომელიმე კურორტი, რადგან აქ საქმე გვაქვს რაღაც არაჩვეულებრივ პირობებთან მარტო სიმაღლით არ აიხსნება ბახმაროს მრავალმხრივი მდიდარი თვისებები, დიდი მნიშვნელობა აქვთ შავი ზღვის სიახლოვეს რამდენად მდიდარია და უხვი სანახაობა ბუნების, იმდენად ღარიბია და მარტივი ადმმიანის ნამუშევარი. ეს კი არა, ყოველივე ზომაა მიღებრლი ბუნების გასანადგურებლად: ტყეები გაჩეხილია, საძოვარი ადგილები ღორებისაგან გადახნულია, სახლები ბოძებზეა წამოდგმული. ცხოველებს საბინადროთ გაუხდიათ სანლების ქვედა ადგილები, სახლების აშეეების არავითარი გეგმა არ არის დაცული. ვისაც სად მოუსწრია სახლიც იქ აუგია.

**ბახმარო, როგორც სამკურნალო ადგილი.**

ყოველ ზაფხ. ბახმაროს აუარებელი სტუმარი ჰყავს მთელი გური. ‡ საქ. ახლა-მახლო კუთხეებიდან თავს იყრის აქ მრავალ გვარი ავადმყოფი. ეს აიხსნება, რასაკვირველი ც ბახმაროს სამკურნალო თვისებებით საერთოდ ის აგარაკი სასარგებლოა სისხლნაკლულების, ნერვებ სუსტ, მალიარიკების, ფილტვები სიჰლექის 1-ლ და მე-2 ხარისხის და საერთოდ დაღლილებისთვის.

თვით ხალხს აულია ალღო ბახმაროსი, როგორც სამკურნალო ძალით დაჯილდოვებულ ადგილის. თუმც არავის არ გადაურჩევია ბახმაროს მოაგარაკენი,—ამბობს პროფ. ალადაშვილი,—მაგრამ იქ მე არ მინახავს ისეთი ავადმყოფი, ვისთვისაც ბახმაროს ჰაერი საჭირო არ ყოფილიყოსო“ მხოლოდ ფილტვების სიჰლექის მე-3 ხარისხით, დაავადმყოფებული აქ ცუდათ გრძნობს თავს, სამაგიეროდ მეორე და პირველი ხარისხის ჰლექით ავადმყოფნი ბახმაროზე მშვენივრად გრძნობენ თავს ალადაშვილის აზრით ასეთმა ავადმყოფმა საკმაო ორი თვე გაატარონ ბახმაროს აგარაკზე კარგ პირობებში, რომ სრულებით განიკურნონ. ექსპედიციის ხელმძღვანელთ არ ჰქონდათ საშუალება, რომ ავადმყოფები განმეორებით გაესინჯათ, საერთოდ კი ვინც მათ მხედველობას მოხვდა, განსაცვიფრებელ ცვლილებებს ამჩნევდენ. პლევრიტით საგრძნობლად დაავადმყოფებული თვე-ნახევარ—ორი თვის განმავლობაში სრულიად გაჯანსაღებულიყო, ანემიკები გარეგანი შეხედულებით სავსებით შეცვლილიყვნენ. რაც შეეხება სისხლის ცვალებადობას, ზემოხსენებულ პროფესორთა დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ის რაც სხვა კურრორტებზე ხდება—ე. ი. ბურთულების გამრავლება და სისხლის გემოგლობინით დაღარიბებას ბახმაროზე ადგილი არ აქვს; პირიქით, იქ ბურთულებთან ერთად იზრდება გემოგლობინის რაოდენობა ეს ალსანიშნავია და საექიმო თვალსაზრისით ზედმიწევნით საგულისხმიერო.

ასეთია მოკლეთ ბახმარო, როგორც აგარაკი. მიუხედავათ ამ მაღალი ღირსებისა, იგი ვერ ახდენდა სათანადო გავლენას ავადმყოფებზე. რადგანაც მოაგარაკეთა დიდი უმრავლესობა ღარიბი გლეხობა იყო. მათ ქონებას შეადგენდა ერთი ადგილობრივი ჯიშის ძროხა, რომელიც დღეში 2 ბოთლ რძეს იწველის და 2—3 ფუთი ჰადი. ამავე დროს ნაწილ რძეს ჰყიდდა, რომ სხვა მიუცილებელი საჰიროებისთვის ფული შეეძინა. ასე, რომ სანატორიული დიეტის მაგივრად, ის იღებდა 50 პროცენტით ნაკლებ კოლორიებს, რაც ჯანსალი აგებულებისთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. აი ასეთ პირობებს რომ მიუმატოთ საცხოვრებელ ბინების სრული უვარგისობა, ადვილათ მიხვდებით, თუ რატომ ვერ ახდენს სათანადო გავლენას ადგილობრივ გლეხობაზე ეს მართლაც სასწაულთ-მომქმედი აგარაკი. ბახმაროს სამკურნალო ძალა ჩვენთვის რომ სავსებით გასაგები გახდეს, საჭიროა ავადმყოფების სანატორიულ მდგომარეობაში ჩაყენება.

**მინერალური წყლები ბახმაროს მახლობლად.**

ბახმაროზე წყალი ზედმიწევნით სუფთაა და დასალევადაც მჩატე. წყალსადენი ვერ არის რიგიანად მოწყობილი. ალსანიშნავია ბახმაროდან 10 ვერსის დაშორებით მყოფი მინერალური წყალი, სახელდობრ ნაბელლავში. ეს წყალი ნარზანზე და ბორჯომის წყალზე ნაზი და გემრიელი დასალევია. აგრეთვე 6 ვერსის მანძილზე ბახმაროდან არის თბილი მინერალური საბანაო წყალი, რომელიც მომავალში ბახმაროს ერთი სიმდიდრის წყარო იქნება. როგორც სჩანს, ბახმარო ზამთრის კურორტადაც გამოდგება.

**ბახმაროს მომავალი.**

ყოველივე ზემო თქმულიდან ცხადია, ისეთი სამკურნალო ადგილი, როგორც ბახმარო, ჩვენში ბევრი არ არის, შეიძლება გადამეტებული არ იქნეს თუ ვიტყვით, რომ სულ არ არის (პროფ. გოგიტიძე). და როგორც ასეთს, ბახმაროს დიდი მომავალი აქვს. თუ მას ჯეროვანი ყურადღება მიექცევა, ის გახდება არა თუ საქართველოს მასშტაბით მნიშვნელობის კურორტათ, მით ევროპაც ფართედ ისარგებლებს.

(„კომუნისტი“).

## ხელოვნება

შ. აბელიშვილის ბენეფისი, რუსთაველის თეატრი, 29 მაისი. „ელექტრა“ გოფმანსტალისა, არიან ადამიანები, რომელნიც ერთ გვარის ავადმყოფურის მანიით არიან შეპყრობილნი და თავის თავზედ მეტად დიდი წარმოდგენა აქვსთ, ასეთებს ვხვდებით მსახიობთა შორისაც. მაგალითად მე ვიცნობ ადამიანს, რომელიც დარწმუნებულია, რომ თუ კი მას შესაძლებლობას მისცემენ „ჰამლეტის“ როლში გამოვიდეს, თავისი „ჰამლეტი“-თ, ქვეყანას გააკვირვებს და ჯერ აქნობამდე არ ნახულს „ამლეტის“ სრულქმნილ სახეს აჩვენებს საზოგადოებას, (ერთხელ აჩვენა კიდეც შარშან) რადგანაც ჰგონია რომ მხოლოდ მან ჩასწვდა ამ არაჩვეულებრივ ადამიანის სულს და გულს. მაგრამ ვინც ამ „ჰამლეტის“ გენიოს პრეტედენტს იცნობს, მათ იციან, რომ ეს მხოლოდ მისი ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფია და სხვა არაფერი როდესაც ჩვენ 29 მაისს „ელექტრას“ უცქერდით, რომელსაც აბელიშვილი ასრულებდა სწორედ ეს „ჰამლეტის“ ამბავი გამახსენდა და ვიფიქრე: ნუ თუ ჩვენ სცენაზედაც არიან ასეთი მსახიობნი მეთქი... მაშ რა უნდა ვსთქვათ, თუ არა ეს, ამისთანა შესრულებაზედ. აქ შესრულებას, განცდას კი ვერა ვხედავდით, არამედ მარტოოდენ ადამიანის პირად ტანჯვა-წვალებას, დაუძლეველ ტვირთ ქვეშ.

აი ასეთი იყო ამ სალამოს აბელიშვილის ქალი „ელექტრა“-ში, ამ როლისათვის მას არ შესწევს ძალ-ღონე. სად იყო აქ შურისძიებით აღმარგებულ-ანთებული „ელექტრა“, რომელსაც ეს გრძნობა უძაფრესადა აქვს სულში გადაჭრილი და ყოველი მისი სიტყვა მკვეთრი და მჭრელია—გალესილი მახვილი ვით მგზავსი რამ ჩვენ ვერა ვნახეთ. აბელიშვილის ქალს საამისო არც ხმა აქვს, არც სგამოთქმა და არც პოტენცია. პირიქით, ჩვენ ვნახეთ, რომ მას ქართული ენა არ ეხერხება, და გამოთქმის დროს იბნეოდა წვალობდა.

მსახიობი შემდეგში უნდა ერიდოს ამ გვარ გაბედულ სახიფათო ნაბიჯებს და თუ თვით მსახიობმა, ვთსქვათ, ვერ განსაზღვრა წინასწარ თავისი ძალ-ღონე—და შეცდომა მოუვიდა, სად იყო ამ დროს რეჟისორი?! თუ კი, რასაკვირველია, ამ პიესას ვინმე რეჟისორობდა!—ამსრულებელთა შორის, შედარებით ირჩეოდა ა. ვასაძე, ორესტის როლში. პიესის თარგმანი არ მოგვწონს დადგმის მხრივ საყურადღებო არა იყო რა.

მობენეფისეს მეგობრებმა აუარებელი ყვავილები მიართვეს. საზოგადოება [illegible] გრძნობით დაიშალა.

---

ფოთი. 6 მაისი. პოეზიის დღის აღსანიშნავათ გაიმართა სალამო. ესტეტიურად დაწმენდილი სიტყვები სთქვეს პოეტებმა: ვ. გაბესკირიმ, ს. კასრაძემ და ლეორანდო ჩიქოვანმა. დაიდგა სიმბოლიური პიესა „პოეტი ორეულით“. მარჯანიშვილის რეჟისორობით, როგორც ყოველთვის, მარჯანიშვილის დადგმა, ეხლაც გამარლებული იყო. უსათუოდ დაძლეული იყო პიესის სიძნელეები და აღმართები. იმღერა ადგილობრივმა გუნდმა მ. ხავთასის ლოტბარობით. სოლო შეასრულა ს. ფხალაძემ. დასასრულ ლექსები წაიკითხეს პოეტებმა: ვ. გაბესკირიმ, ლ. ჩიქოვანმა, გ. ონტოფელმა, გ. ლლონტმა, ვ. ლაღიძემ და ბ. პელაშვილმა. პიესაში განსაკუთრებით კარგი იყო ჰერას უკანასკნელი ცეკვა, რომლის შესრულებაში ნ. ჰანტურიას ასულმა გამოიჩინა საოცარი სინაზე.

კარგი იყო ტ. ჰანტურია. თავის დონეზე იდგა სიმებიანი ორკესტრიც.

აღსანიშნავია მარჯანიშვილი, როგორც რეჟისორი. მისი ხელოვნებისადმი დაულეველი სიყვარულით, ქ. ფოთში ესტეთიურად გამართულია თეატრი; შემდგარია ბალეტი და სიმებიანი ორკესტრი. სალამო ჩატარდა მწყობრად.

შორეული.

---

**აკაკი ფალავას სალამო.** სახელმწიფო აკადემიური დრამის რეჟისორის აკაკი ფალავას სალამობენებისი, რომელიც არ შესდგა კვირას 27 მაისს მსახიობ ნ. დავითაშვილის უეცარი ავადმყოფობის გამო—შესდგება ხუთშაბათს, ივნისის 7-ს. წარმოდგენილი იქნება 1) შექსპირის „ჰამლეტი“—1 მოქმედება (5 სურათი). ჰამლეტ გ. დავითაშვილი; 2) დ. კლდიაშვილის პიესებიდან „ირინეს ბედნიერება“ (1 მოქმ.) აბესალო—აკ. ვასაძე, ბარბაქაძე—პლ. კორიშელი და „უბედურება“, რომელშიაც სალიანგო (სახალხო) სცენას შეასრულებენ თვით მსახიობნი. 3) ვ. ცაგარლის „ციმბირელი“ (3 მოქმ.) ტასო აბაშიძის, ნ. გოცირიძის და ი. გრიშაშვილის მონაწილეობით. გრიშაშვილი შეასრულებს კავკაველ პეტუას როლს და წაიკითხავს ყარაჩოღულ ლექსებს.

## წერილები რედაქციის მიმართ

**მოქ. რედაქტორო!**

თქვენ პატივცემულ გაზეთ „ტრიბუნის“ ცხრა მაისის მე-464 ნომერში მოთავსებულია წერილი სათაურით: „რაშია საქმე“, სადაც ავტორი, სხვათაშორის, მეც მეხება და ბრალს მდებს ქართულ ენის უპატივცემულობაში. ვინაიდგან საზოგადოებისა და პრესის აზრი ჩემთვის უზენაესს კანონს შეადგენს, გთხოვთ მოქ. რედაქტორო, ადგილი დაუთმოთ შემდეგ ჩემს განმარტებას:

როდესაც სახბანკის სოხუმის განყოფილება გაიხსნა, გამგეობამ მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ განყოფილებას საქმიანი კავშირი ექნება უმთავრესად არა ქართულ ელემენტებთან, დაადგინა მიწერ-მოწერის წარმოება რუსულ ენაზე, ხოლო ანგარიშების-ქართულზე. ამას მოითხოვდა დაწესებულების ინტერესები და ჩვენც იძულებული ვართ ასე მოვიქცეთ.

ამის გამო ფოთის განყოფილების მმართველმა მოქ. ესაკიამ ბანკის ერთ-ერთ საქმიან წერილში შემჩნევა მოგვცა და ბრალი დაგვდო არსებული კანონის დარღვევაში.

ყველა დაწესებულების ხელმძღვანელ თავისი მოვალეობა აქვს, რომელსაც ის კეთილ-სინდისიერათ უნდა ასრულებდეს და დაუშვებლათ მიმაჩნია, რომ ამა თუ იმ დაწესებულების ხელმძღვანელებმა პირადი მოვალეობის შესრულებაში, ეროვნულსა და პოლიტიკურ საკითხებზე შემჩნევები ჩაურთონ და ერთმანეთს პოლემიკა გაუმართონ. ამიტომ მოქ. ესაკიას მოქცევა მივაწერე წის მეტიჩრობას და პასუხი მოვახსენე. ამით ის უკმაყოფილო დარჩენილა და საზოგადოებას მაბეზღებს. შეხედეთ „თბილ მაგიდაშიმომგებიან ადგილზე მჯდომი ბურჟუა ჩხატარაიშვილი როგო ჩაგრავს ეროვნულ ინტერესებსო“.

ჩემი ბურჟუობა ჯერ არავის უთქვამს, მხოლოდ რაც შეეხება თბილსა და მომგებიან ადგილზე ჯდომას, არ ვიცი რამდენად თბილი და მომგებიანია მოქ. ესაკიასათვის ფოთის განყოფილების სავარძელი, მხოლოთ ჩემთვის კი ეს გამოიხატება საქონლის რამოდენიმე მანეთში ყოველ თვიურ ჯამაგირში.

მოქ. ესაკიასავით „ცნობილი“ პიროვნება არა ვარ, მაგრამ ვამაყობ მით, რომ ჩემი ერის ბედნიერებით მუდამ ბედნიერი ვარ და უბედურებით მტირალე. ასე მიცნობს ყველა ნაცნობი და აგრეთვე სოხუმის ქართველობა სადაც სულ რამოდენიმე თვეა ვცხოვრობ.

ევტ. ჩხატარაიშვილი

**შენიშვნა.** კარგად ვიცნობთ ამ „მტირალა“ ინტელიგენციას, რომელიც საქვეყნოდ ყვირის და მოსთქვამს ქართული ენის დევნაზედ და თვითონ კი „პრაქტიკაში“ გაურბის მის ხმარებას. ხსენებულ წერილში დასახელებული იყო „ჩემო“ მოქ. ჩხატარაიშვილი და კომუნისტი კაჭარავა. ეპიტეტი ბურჟუაზია და ბურჟუები მიეწერება უმთავრესად პირველს.

თვით ჩხატარაიშვილზედ კი ეწერა: არა სოციალისტი და უპარტიო, რაც არ ნიშნავს უთუოდ ბურჟუას. აგრეთვე არც ის გარემოება, რომ მოქ. ჩხატარაშვილილი ჯამაგირში მსახურობს, ვერავის დაარწმუნებს, რომ ის ბურჟუაზიის წრეს არ ეკუთვნოდეს სულითა და გულით. ყოველ მოხელეს თავის მოვალეობა აქვს, რომელსაც ის კეთილ-სინდისიერად უნდა ასრულებდესო, ბრძანებს მოქ. ჩხატარაიშვილი და ის კი არ აგონდება „ერის უბედურებით მტირალეს“, რომ ყოველ ქართველს უფრო მაღალი მოვალეობა აქვს, ვინემ მოხელის მოვალეობა: ესაა ქართული ენის, ქართული კულტურის დაცვა შევიწროებისაგან. რა იქნებოდა, რომ ყველა ისე მოიქცეს, როგორც მოქ. ჩხატარაიშვილი მსჯელობს და მოხელის მოვალეობა ეროვნულ ინტერესებზედ მაღლა დააყენოს? ყოველ შემთხვევაში, თავისთავად სამართლიანი შენიშვნა მოქ. ჩხატარაიშვილს შეეძლო ქართულის დასაცავად გამოეყენებინა. მან კი ამის ნაცვლად ავტორი გამოლანძღა. ასე ესმით ენის დაცვა ჩვენი ინტელიგენციის მტირალა ნაწილს.

რედაქცია

---

1912წლიდან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდი ვითვლებოდი საქ. სოც. ფედ. პარტიის წევრათ. აღნიშნულ დროიდან არავითარი მონაწილეობა პარტიულ მუშაობაში არ მიმიღია, მითუმეტეს მის შემდეგ, რა რომ პარტია გაიყო ორ ბანაკათ. ვრჩები რა პარტიის გარეშე, ვალდებულათ ვრაცხ ჩემს თავს რითაც შემეძლება ხელი შეუწყო საბჭოთა აღმშენებლობას მშრომელი მასსის საკეთილდღეოთ.

ტელემიკ პარმენის-ძე ასათიანი

---

გაზეთ „ტრიბუნის“ № 483-ში მოთავსებული წერილი: „ქართული ენა მე-VIII-ვე ტეხნიკუმში“ შეეხება ამავე ტეხნიკუმის ქართული განყობილების მეორე ა) კლასის ქართული ენის მასწავლებელ ჯვარიშეიშვილს და არა გ. გიორგიძეს, რომელიც ამავე ენის მასწავლებლად ითვლება ხსენებულ ტეხნიკუმში.

მოწაფეთაგანი.

---

ამხ. რედაქტორო! ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით განვაცხადო შემდეგი:

საბჭოთა ხელის უფლების დამყარებამდე ვეკუთნოდი სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას. ვტოვებ ზემო ხსენებულ პარტიას და გადავდივარ საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა რევოლიუციო პარტიაში.

პ. ჩხიკვაძე

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

---

**დავკარგე** ა. წ. 22 მაისს რუსთაველის თეატრის გამგისაგან მიღებული პირადობის მოწმობა № 297. აპრილის 21 თარიღით. ჩაითვალოს გაუქმებულად.

№ 423. აკაკი ნესტორის ძე ფალავა.

...ტორიისა და გამომცემლობის მოავარმართველობის მიერ. № 321 საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. ნუოფ. სტამბა კრუზენშტეინის ქუჩ. №